www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ შაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი 30 აპრილი, 2009 წელი. №93 (2131) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

"საქართველო დიდი ევროპული ოჯახის წევრია"
A3



ობამას ასი დღე: შეჩერდება თუ არა "გადატვირთვა"
A7



"ხანუმა" მარჯანიშვილის სცენაზე ბრუნდება
A11



24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# ნაბიჯი დიპლომატიური წარმატებისკენ

დიმიტრი ავალიანი

*ევროპას რუსეთის მიმართ მოთმინება ეწურება. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ რუსეთ-საქართველოს ომის საკითხი უკვე მესამედ განიხილა და რუსეთის ქმედებები მკაცრად დაგმო. ასამბლეის მომხსენებლები მოსკოვის წინააღმდეგ შესაძლო სანქციებზეც ალაპარაკდნენ. რუსეთის მიერ საერთაშორისო თანამეგობრობის მოთხოვნების შეუსრულებლობა ცივილიზებული სამყაროსგან მის იზოლაციას კიდევ უფრო აღრმავებს.*

ორი დოკუმენტი - **"1647-ე რეზოლუციის შესრულებისთვის საქართველოსა და რუსეთის მიერ მიღებული ზომები"** და **"რუსეთ-საქართველოს ომის ჰუმანიტარული შედეგები - შემდგომი ნაბიჯები 1648 რეზოლუციის საფუძველზე"** - ასამბლეამ გუშინდელ პლენარულ სხდომაზე ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა.

პირველი მათგანი გასული წლის ოქტომბერში მიღებული რეზოლუციის შესრულების ანგარიშს წარმოადგენს, რომელიც გუშინ სესიაზე თანამომხსენებლებმა ლუკ ვან დერ ბრანდემ და მათიას ეორშმა წარმოადგინეს.

როგორც ლუკ ვან დერ ბრანდემ განაცხადა, მართალია, საქართველოს ევროპის საბჭოს ყველა მოთხოვნა არ შეუსრულებია, სამაგიეროდ რუსეთმა მათი უმრავლესობა არ შეასრულა. კერძოდ, არ გაუუქმებია გადაწყვეტილება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ და არ გაუყვანია ჯარები საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან.

**"ჩვენ ვგმობთ რუსეთის შეჭრას საქართველოს ტერიტორიაზე,"** - განაცხადა, თავის მხრივ, მეორე თანამომხსენებელმა მათიას ეორშმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# სუფთა ფრანგული შეფასება: "საქართველო - ორგანიზებული არეულობა"

ხათუნა გაბიევი
სალომე ძაძამია



საქართველოს წელს ლილის ჟურნალისტიკის უმაღლესი სკოლიდან სტუდენტები და პედაგოგები ეესტუმრნენ, სულ 56 ადამიანი. ლილის ჟურნალისტიკის უმაღლესი სკოლა მსოფლიოში საუკეთესო ბრენდად არის აღიარებული. მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტები, რომელთა დიდი ნაწილიც უკვე მოქმედი ჟურნალისტია, ერთი კვირის განმავლობაში მუშაობდნენ საქართველოსთვის აქტუალურ თემებზე. ეს მასალები უახლოეს მომავალში ფერადი 100-გვერდიანი ჟურნალის ("Latitude") სახით დაიბეჭდება საფრანგეთში, 10 000 ეგზემპლარად.

თუმცა, ჟურნალის გამოსვლამდე უკვე ამოქმედდა ვებგვერდი: www.georgianlatitudes.com. ვებგვერდზე განთავსებულია როგორც ფრანგი, ასევე ქართველი სტუდენტების ჟურნალისტური ნამუშევრები.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ოპოზიციის კურსი უცვლელია: ძველი გზით ახალი რეალობისკენ!

გიორგი ასანიშვილი

*განსხვავებული პოლიტიკური ბანაკების ლიდერები საზოგადოების სხვადასხვა სფეროების წარმომადგენლებთან ინტენსიურად მართავენ შეხვედრებს. სახელისუფლებო გუნდიდან ამ საქმეს, ძირითადად, პარლამენტის სპიკერი დავით ბაქრაძე უძღვება, ოპოზიცია კი "კოლექტიურად" მოქმედებს - მისი ლიდერები სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს ერთად, ჯგუფურად ხვდებიან. ოპოზიციის მიერ ორგანიზებული ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა გუშინ სავარაუდო შედეგით დასრულდა: ოპოზიცია სტრატეგიისა და ტაქტიკის შეცვლას არ აპირებს.*

"ალიანსი საქართველოსთვის" ხელმძღვანელ ირაკლი ალასანიას თქმით, "ქორთიარდ მარიოტში" გუშინ გამართულ შეხვედრაზე მოვლენების განვითარების შესაძლო სცენარებზე იყო საუბარი. ალასანია მიიჩნევს, რომ უნდა დაზუსტდეს ის პირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში, ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების დაწყება გახდება შესაძლებელი.

**"ჩვენ გავცვლით პოზიციებს და შეხედულებებს იმის შესახებ, თუ როგორ დავძლიოთ პოლიტიკური კრიზისი. ამის შესაძლებლობა ნამდვილად არსებობს და თუ პრეზიდენტთან დიალოგი შედგება, მოვისმენთ, თუ როგორ წარმოუდგენია მას ვითარების განმუხტვა, ჩვენი მხრიდან კი დავასაბუთებთ, რატომ არის ერთადერთი გამოსავალი მისი გადადგომა,"**

გაგრძელება A2 გვერდზე

## "საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევის მიუხედავად, გალის რაიონში ვითარება კიდევ უფრო მძიმდება"

საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევის გააქტიურების მიუხედავად, აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში, კერძოდ, გალის რაიონში ვითარება კიდევ უფრო მძიმდება, - ამის შესახებ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ მალხაზ აკიშბაიამ განაცხადა. მისი განცხადებით, გალის რაიონის მოსახლეობის უფლებების უხეში დარღვევით კვლავ გრძელდება იძულებითი პასპორტიზაცია. "თუმცა, აფხაზური პასპორტი მხოლოდ და მხოლოდ ფარატინა ქაღალდია და ის ვერანაირად ვერ შეცვლის როგორც გალელების მოქალაქეობას, ისე საქართველოს სახელმწიფოს დამოკიდებულებას საკუთარი მოქალაქეების მიმართ," - განაცხადა მალხაზ აკიშბაიამ. მან ასევე აღნიშნა, რომ გალის რაიონის მოსახლეობის უფლებების დარღვევით ხდება სერგეი ბაგაფშის მხარდამჭერ პარტია "ედინაია აბხაზიაში" გაწევრიანებაც, რამდენადაც პარტიაში შესასვლელად ასევე მოითხოვენ საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმას.

"ეს პარტია საგანგებოდ ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების წინ შეიქმნა და სწორედ იმაზეა გათვლილი, რომ პარტიაში გალის რაიონის ქართველები გაწევრიანდნენ. ამის მოტივი კი ის არის, რომ წინა ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში ბაგაფშს გამარჯვება სწორედ გალის რაიონის ხმებმა მოუტანა და მას ახლაც ამის იმედი აქვს," - განაცხადა მალხაზ აკიშბაიამ. მისი თქმით, გალის რაიონში ადამიანის უფლებების დარღვევა სასწრაფოდ უნდა შეწყდეს. აკიშბაია იმედოვნებს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის კონსოლიდაცია და ძალისხმევა დადებით შედეგს გამოიღებს. "ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა საქართველოს კონფლიქტური რეგიონების საკითხს განიხილავს, მაისში გაეროს გენერალური მდივანი სპეციალურ ანგარიშს წარადგეს, ასევე მოახლოვდა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი. ამასთან, როგორც ცნობილია, ეუთომ უკვე შეადგინა საკმაოდ მკაცრი და კრიტიკული დასკვნა კონფლიქტის ზონებში არსებული ვითარების შესახებ," - განაცხადა აკიშბაიამ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ნიკოლა სარკოზი საქართველოს ეწვევა

საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ივნისში საქართველოს ეწვევა და საქართველოს პრეზიდენტთ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრას გამართავს. ამ ინფორმაციას ფრანგული გაზეთი "L`Express" ავრცელებს. თუმცა, გამოცემა იქვე აღნიშნავს, რომ ამ ინფორმაციას საფრანგეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ჯერჯერობით არ ადასტურებენ. გაზეთის ინფორმაციით, 25 ივნისს ნიკოლა სარკოზი სომხეთს ეწვევა, ხოლო 26 ივნისს კი აზერბაიჯანს. ამის შემდეგ კი იგი ყაზახეთში გაემგზავრება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## პიტერ სემნები თბილისში 1 მაისს ჩამოვა

სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი პიტერ სემნები საქართველოში მორიგი ოფიციალური ვიზიტით 1 მაისს ჩამოვა. სემნები თბილისში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ოპოზიციის ლიდერებთან და დამოუკიდებელ ექსპერტებთან გამართავს შეხვედრებს. სემნები საქართველოს 4 მაისს დატოვებს. **მედიანიუსი**

## პასუხი "რატომ"-ის პრეტენზიებზე

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო აქვეყნებს განცხადებას, რომლითაც პასუხს სცემს მოძრაობა "რატომ"-ის პრეტენზიებს.

მოძრაობა "რატომ" გუშინ ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან აქცია გამართა და პრესისათვის სპეციალური მიმართვა გაავრცელა. მიმართვის თანახმად, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თითქოსდა საპრივატიზაციოდ გამოქვს 14 ობიექტი, რომელიც მათივე მტკიცებით, საპრივატიზაციო ნუსხაში ყოფილა შეტანილი. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, 2007 წლის 18 დეკემბერს პრივატიზაციის შესახებ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად, არანაირი საპრივატიზაციო ნუსხა არ არსებობს. შესაბამისად გაურკვეველია, როგორ დაამტკიცებს მინისტრი საპრივატიზაციო ნუსხას, რომელიც არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ყოვლად გაუგებარია, თუ რას ეფუძნება მოძრაობის მიერ გავრცელებული განცხადება 14 სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტის სასწრაფო წესით ვითომდა გაყიდვის თაობაზე. ამ ჩამონათვალში მოხვდა უზნაძის ქუჩაზე მდებარე ს/ს გ. ნათაძის სახელობის სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. აღნიშნულთან დაკავშირებით ვაცხადებთ, რომ ს/ს გ. ნათაძის სახელობის სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (მდებარე უზნაძის ქ.N78) საპრივატიზაციო აუქციონზე გასაყიდად სამინისტრომ 2008 წლის 12 ნოემბერს გამოიტანა. განაცხადის არარსებობის გამო მაშინ აუქციონი ჩაშლილად გამოცხადდა. სრული პასუხიმგებლობით ვაცხადებთ, რომ ამ ეტაპზე ობიექტის პრივატიზაცია არ იგეგმება.

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სისტემატურად თანამშრომლობს ყველა არასამთავრობო ორგანიზაციასთან, მათ შორის მოძრაობასთან "რატომ". მათ მიერ სხვადასხვა თემაზე შემოტანილ განცხადებებს სამინისტრო პასუხებს ყოველთვის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და სრულყოფილად სცემდა. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო მომავალშიც გააგრძელებს საჯარო ინფორმაციის გაცემას კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში.

# ოპოზიციის კურსი უცვლელია: ძველი გზით ახალი რეალობისკენ!

პირველი გვერდიდან

- აღნიშნა შეხვედრის დაწყების წინ "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერმა.

ირაკლი ალასანიას თანაგუნდელი, "მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე, თავის მხრივ, მიიჩნევს, რომ საზოგადოების წარმომადგენლებისა და ოპოზიციის უფრო მეტი კოორდინაციაა საჭირო. მისივე თქმით, სამოქალაქო საზოგადოების აზრი ოპოზიციის ლიდერებისთვის "მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი" იქნება.

ამასთან, გამყრელიძე საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთობლივი საბჭოს შექმნის ინიციატივით გამოდის. ამ საბჭოს ფუნქცია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს ანალიზი და პოლიტიკური კრიზისიდან გამოსავლის გზების ძიება იქნება. "მემარჯვენეების" თავკაცის აზრით, 20-კაციან საბჭოში ოპოზიციურმა პარტიებმა და სამოქალაქო სექტორმა 10-10 წარმომადგენელი უნდა შეიყვანონ.

**"საბჭო კვირაში სამჯერ უნდა შეიკრიბოს და მიღებული დასკვნები ოპოზიციის ლიდერებსა და საზოგადოებას გააცნოს,"** - აცხადებს "მემარჯვენეების" ლიდერი.

ოპოზიციის კიდევ ერთ-ერთ ლიდერ ნინო ბურჯანაძის მტკიცებით, სამოქალაქო საზოგადოებასთან გამართული შეხვედრის მონაწილეთაგან თითქმის ყველა ეთანხმება იმ აზრს, რომ მიხეილ სააკაშვილი უნდა გადადგეს, აზრთა სხვადასხვაობა კი მხოლოდ ოპოზიციის სტრატეგიასა და ტაქტიკასთან მიმართებაში არსებობს.


ზაურ გელაშვილის ფოტო

"რესპუბლიკური პარტიის" თავმჯდომარე დავით უსუფაშვილიც ადასტურებს, რომ სააკაშვილის გადადგომას ალტერნატივა არა აქვს.

**"თუ ხელისუფლება კრიზისის დაძლევის უკეთეს გეგმას შემოგვთავაზებს, ჩვენ მზად ვართ, გავეცნოთ ამ გეგმას და შემდეგ საზოგადოებას შესაბამისი დასკვნა წარვუდგინოთ,"** - დასძენს უსუფაშვილი.

"ქორთიარდ მარიოტში" შეხვედრის დასრულების შემდეგ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმაც გააკეთეს კომენტარი.

პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილის შეფასებით, "ოპოზიციის წარმომადგენლებთან შეხვედრა საინტერესო იყო."

**"დიალოგის დრო გავიდა და კონკრეტული მოლაპარაკებები უნდა დაიწყოს,"** - აღნიშნავს ცისკარიშვილი. მისივე თქმით, შეხვედრის დროს საუბარი არ ყოფილა იმაზე, არის თუ არა პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა სამართლიანი, რადგან ამ პოზიციას, ფაქტობრივად, ყველა ერთხმად აფიქსირებს.

გუშინდელ შეხვედრაზე საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები - დათო მაღრაძე, რატი ამაღლობელი და ზაზა ხუციშვილი - ახალი ინიციატივით გამოვიდნენ. ისინი შაბათს, 17.30-დან 20.00 საათამდე, რუსთაველის გამზირზე იწვევენ ხელოვნების, მეცნიერების, სპორტის ცნობილ თუ უცნობ წარმომადგენლებს, რომლებიც ოპოზიციის მიერ დაწყებულ მიტინგს გააგრძელებენ.

მაღრაძის განცხადებით, ტრიბუნა ნებისმიერი განსხვავებული აზრის მქონე ადამიანს დაეთმობა და ყველას ექნება საშუალება, დააყენოს ესა თუ ის მოთხოვნა.

რატი ამაღლობელი მიიჩნევს, რომ ამით კიდევ ერთხელ მოხდება საზოგადოების იმ შეკვეთის გადამოწმება, რომელიც ქვეყანაში რადიკალური ცვლილებების განხორციელებას გულისხმობს.

გუშინდელი შეხვედრის კიდევ ერთი მონაწილის, მწერალ ლაშა ბუღაძის განცხადებით, საზოგადოებამ და ოპოზიციამ ერთობლივად უნდა აიძულოს ხელისუფლება, რომ რეალურ დიალოგზე და სისტემურ დათმობებზე წავიდეს.

**"მნიშვნელოვანია ცვლილება და არა ჩანაცვლება. ემოციებით კრიტიკული პროცესის მარგინალიზაციას მოვახდენთ,"** - აცხადებს ბუღაძე.

ექსპერტი ლადო პაპავა კი კრიზისიდან გამოსვლის გზას საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში ხედავს. მისი თქმით, კონსტიტუციის მე-5 მუხლში წერია, რომ საქართველოში ძალაუფლების წყაროა ხალხი და იმავე მუხლის მიხედვით, ხალხი რეფერენდუმის საშუალებით გამოხატავს თავის ნებას.

**"თუ ხელისუფლებას სურს, შეინარჩუნოს ქვეყანაში სტაბილურობა, პრეზიდენტისთვის ყველაზე კარგი გამოსავალია რეფერენდუმის ჩატარება. იმისთვის, რომ ქვეყანაში რეფერენდუმი და, ზოგადად, არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდეს, სამი პირობაა საჭირო - უნდა შეიცვალოს საარჩევნო კომისია, შეიქმნას კოალიციური მთავრობა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა განახორციელონ კონტროლი,"** - მიიჩნევს პაპავა.

თუმცა, ოპოზიციის ნაწილმა ეს გზა უკვე მოსინჯა, მაგრამ პოლიტიკური სპექტრის უდიდესმა ნაწილმა მას მხარი არ დაუჭირა. ერთი სიტყვით, გუშინდელი შეხვედრის შემდეგაც ოპოზიციის კურსი უცვლელი რჩება: ძველი გზით ახალი რეალობისკენ!

# "შევთანხმდით, რომ ვერ შევთანხმდით"

დათო გამისონია

საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ საპროტესტო აქციების ორგანიზატორ ოპოზიციის ლიდერებს უახლოესი შეხვედრა მედიის წარმომადგენლებთან აქვთ დაგეგმილი, კერძოდ - ბეჭდური მედიის გამომცემლებთან და რედაქტორებთან. გუშინ რუსთაველის გამზირზე მიმდინარე მასობრივ შეკრებაზე "ალიანსი საქართველოსთვის" თანათავმჯდომარემ დავით გამყრელიძემ განმარტა, რომ: **"ამ შეხვედრაზე, პრესის წარმომადგენლებთან ერთად, კარი ღია იქნება იმ ტელევიზიების ხელმძღვანელებისთვისაც, რომლებიც ტენდენციურები არიან. ოპოზიციას სურს იმის დემონსტრირება, რომ მათთვის მიუღებელი არ არის განსხვავებული აზრი,"** - განმარტა "ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა. გამყრელიძემ ხელისუფლებასთან დიალოგის შესაძლებლობაზეც ისაუბრა. მისი აზრით, ყველაზე მეტად დიალოგს სწორედ მიხეილ სააკაშვილი ეწინააღმდეგება. **"ზუსტად ვიცი, თუ რას ელოდებიან ისინი დიალოგისგან. მათ სურთ, რომ საერთაშორისო საზოგადოებას აჩვენონ კადრი - ერთ მაგიდასთან მსხდომი სააკაშვილი და მისი ოპონენტები,"** - აღნიშნა ალასანიას პოლიტიკურმა მოკავშირემ. "მემარჯვენეების" ლიდერმა გაიხსენა საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ფრაზა, რათა გამოეხატა, თუ როგორი მოლაპარაკებები შეუძლია პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებას. **"ბატონებო, შევთანხმდით, რომ ვერ შევთანხმდით - გიგა ბოკერიას ამ სიტყვებით მთავრდებოდა ჩვენი ყველა დიალოგი,"** - განმარტა გამყრელიძემ. მისი აზრით, ხელისუფლება არ არის მზად ისეთი დათმობისთვის, რაც არსებულ სისტემას რეალურად შეცვლის.

მოლაპარაკებების თემა განაგრძო "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ. მისი თქმით: **"თუკი საქართველოში ჯერ კიდევ არიან პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებასთან დიალოგი შეიძლება - დაე, სჯეროდეთ."**

რაც შეეხება პრეზიდენტ სააკაშვილის პოლიტიკური ოპონენტების გეგმებს, როგორც "ეროვნული ფორუმის" ერთ-ერთმა ლიდერმა გუბაზ სანიკიძემ პარლამენტის შენობის წინ შეკრებილ მომიტინგეებს განუცხადა, უახლოეს დღეებში საპროტესტო აქციების გეოგრაფიულად გაფართოებაა დაგეგმილი. ამ მიზნით საპროტესტო მიტინგები რეგიონებშიც დაიწყება, თუმცა სანიკიძემ არ დააკონკრეტა, თუ როდის აპირებს ოპოზიცია აღნიშნული კამპანიის დაწყებას. "კონსერვატორების" ერთ-ერთმა ლიდერმა კახა კუკავამ აღნიშნა, რომ ქართველ ხალხს აქვს საპროტესტო აქციების ხანგრძლივად გაგრძელების რესურსი. საპროტესტო მუხტის გარდა მან ოპოზიციის ფინანსურ შესაძლებლობებზეც გაამახვილა ყურადღება. **"სააკაშვილის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლისთვის არანაირი რუსი ოლიგარქების დახმარება არ გვჭირდება,"** - განმარტა კუკავამ. მისი თქმით, საპროტესტო აქციების დაფინანსების ერთ-ერთი წყარო პარლამენტის შენობის წინ დადგმული შემოწირულობის ყუთებია, რომლებშიც მოქალაქეები, ძირითადად, ერთ ლარიან კუპიურებს დებენ. "კონსერვატიული პარტიის" ინფორმაციით, ყუთების დადგმიდან პირველ დღეს 3500 ლარი შეგროვდა, ხოლო ოპოზიციის აქტივისტებმა შემდეგი ორი დღის განმავლობაში შესაბამისად 1600 და 1400 ლარი დათვალეს.

ვიდრე პოლიტიკური ოპოზიციის ნაწილი რუსთაველის გამზირზე იმყოფებოდა, ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა პარლამენტის და "საზოგადოებრივი მაუწყებლის" შენობების მიმდებარე ტერიტორიაზე შეგროვებული ნაგავი ავტომობილებით თბილისის მერიასთან მიიტანეს. აქტივისტებმა ნარჩენები მერიის ცენტრალურ შესასვლელთან ტომრებით დაალაგეს. მიუხედავად იმისა, რომ შენობაში სამართალდამცველები იმყოფებოდნენ, მათ ხელი არ შეუშლიათ პროტესტის ამ ფორმით გამოხატვისთვის. მერიის დასუფთავების სამსახურისთვის საკუთარი ვალდებულებების შესახსენებლად მოწყობილ აქციაში ოპოზიციონერთაგან მონაწილეობა მიიღეს "ხალხის პარტიის" ლიდერმა კობა დავითაშვილმა და გოგა ხაინდრავამ.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# ნაბიჯი დიპლომატიური წარმატებისკენ

პირველი გვერდიდან

**“სამწუხაროა, რომ რუსეთს ჯერ არ შეუცვლია პოზიცია და აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი კვლავ მისი კონტროლის ქვეშ რჩება. ჩვენ ვიცით, რომ ორივე რეგიონი საქართველოს იურისდიქციაში შედის. საერთაშორისო მოთხოვნების მიუხედავად, რუსეთი აძლიერებს სამხედრო ძალებს ამ რეგიონში,”** - განაცხადა ეორშმა.

მისი თქმით, **“ჩვენ მოვითხოვთ რუსეთისგან, შეასრულოს საკუთარი ვალდებულებები და რეგიონის დემილიტარიზაცია მოახდინოს.”**

**“თუ რუსეთი რეზოლუციების იგნორირების პოლიტიკას განაგრძობს, შემდეგი სესიების დღის წესრიგში, შესაძლოა, მის მიმართ სანქციების საკითხი დადგეს,”** - განაცხადა ეორშმა.

გუშინ მიღებულ დოკუმენტში ასამბლეამ რუსულ და ქართულ მხარეებს კიდევ ერთხელ მოსთხოვა წინა რეზოლუციებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება, ასევე მოუწოდა მათ, თავიდან აიცილონ დაძაბულობის ზრდის შესაძლებლობა. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა რუსეთსა და საქართველოსგან დიალოგისთვის მინიმალური პირობების შექმნასაც მოითხოვს, ვინაიდან **“დიალოგი წინსვლის ერთადერთი გზაა ამ კონფლიქტის მოსაგვარებლად და რეგიონში ხანგრძლივი სტაბილურობის დასამყარებლად.”**

**“რუსეთ-საქართველოს ომის ჰუმანიტარული შედეგების შესახებ”** იანვარში მიღებული რეზოლუციის შესრულების ანგარიში ასამბლეის მიგრაციის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ კორიენ იუნკერმა წარადგინა, რომელმაც ასევე ისაუბრა საქართველოში, მათ შორის ოკუპირებულ ტერიტორიებზე, თავისი ვიზიტის შესახებ. მიგრაციის კომიტეტმა ვრცელი რეზოლუციის პროექტი შეიმუშავა, რომელიც წინა დღეს კომიტეტის სხდომაზე განიხილებოდა.

ამ პროექტმა სესიაზე ცხარე დებატები გამოიწვია, რომლის დროსაც რუსული დელეგაციის ხელმძღვანელმა კონსტანტინ კოსაჩევმა კიდევ ერთხელ დააყენა საკითხი პროექტიდან სიტყვა **“ოკუპაციის”** ამოღების შესახებ. თუმცა, რუსების მცდელობა ამაო გამოდგა - შესწორების შეტანის საკითხი კოსაჩევმა საბოლოოდ დღის წესრიგიდან თავად მოხსნა.

როგორც გუშინ საქართველოს პარალამენტის ვიცე-სპიკერმა მიხელ მაჭავარიანმა განაცხადა, რეზოლუციაში საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ყველა კომპონენტია გათვალისწინებული, ისეთი, როგორიც არის საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, ქართული სოფლების განადგურება და დევნილთა დაბრუნების აუცილებლობა.

**“ჩვენ ამას ვეთანხმებით და ქართულმა დელეგაციამ რეზოლუციას მხარი დაუჭირა. განხილვამ აჩვენა, რომ ევროპის საბჭოს წევრი 46 სახელმწიფო საქართველოს პოზიციას სრულად უჭერს მხარს,”** - განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა.

საქართველოს პარლამენტის წევრმა გიორგი გაბაშვილმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის საბჭოს რეზოლუციაში სიტყვა “ოკუპაციის” დაფიქსირებას და ეთნიკური წმენდის დაგმობას.

საბოლოოდ, კონსტანტინ კოსაჩევმა კონფლიქტის ჰუმანიტარული შედეგების შესახებ რეზოლუციაზე საუბრისას კონსტრუქციული ტონი არჩია და აღნიშნა, რომ **“ამ საკითხის პოლიტიზაციის წინააღმდეგია.”**

რუსული დელეგაციის კიდევ ერთმა წევრმა არსენ ფაძაევმა აღშფოთება გამოთქვა რუსეთის მიმართ წაყენებული მოთხოვნებს გამო. **“სამხრეთ ოსეთიდან რუსული ძალების გაყვანაზე საუბარი გაუმართლებელია მაშინ, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე ნატო-ს წვრთნები იწყება და ომის განმეორების საშიშროება არსებობს,”** - განაცხადა რუსმა დეპუტატმა.

**“რუსეთი მხარს უჭერს სამხრეთ ოსეთის ხალხს და იცავს მას საქართველოს შემდგომი თავდასხმებისგან,”** - განაცხადა რუსმა დეპუტატმა ლეონიდ სლუცკიმ. მან აღნიშნა, რომ რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს **“სუვერენულ სახელმწიფოებად განიხილავს და ამ მხრივ უკან დასახევი გზა არ აქვს.”**

დოკუმენტში რუსეთ-საქართველოს ომის ჰუმანიტარული შედეგების შესახებ აღნიშნულია, რომ **“ოკუპირებულ ახალგორის რაიონში ეთნიკური ქართველები მრავალ პრობლემას აწყდებიან,”** კერძოდ, ეს არის შეზღუდვები ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთისას, პრობლემები მშობლიურ ენაზე განათლების მიღების საკითხში და ზეწოლა ოსური პასპორტების აღების მოთხოვნით.

ასამბლეამ რუსეთსა და საქართველოს მოუწოდა, გახსნან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრები და უზრუნველყონ ამ ტერიტორიებზე ჰუმანიტარული ტვირთების, ელექტროენერგიისა და გაზის მიწოდება. რუსეთსა და ცხინვალის მარიონეტულ ხელისუფლებას იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების უზრუნველყოფა მოეთხოვათ.

# "საქართველო დიდი ევროპული ოჯახის წევრია"

ნათია მსხილაძე

*ვარშავაში ევროპის სახალხო კონგრესი იმართება, რომელიც 4 წელიწადში ერთხელ ტარდება. ორდღიან კონგრესში ევროპის 16 ქვეყნიდან 3 000 დელეგატი მონაწილეობს, მათ შორის ისეთი გავლენიანი პოლიტიკოსებიც, როგორებიც არიან ანგელა მერკელი, ნიკოლა სარკოზი, სილვიო ბერლუსკონი და ა.შ. ვარშავის კონგრესს განსაკუთრებული სტუმრის სტატუსით საქართველოს პრეზიდენტიც ესწრება.*




**“ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და გაფართოება,”** - ამ საკითხებზე მსჯელობისთვის 16 ქვეყნის ლიდერები გუშინ ვარშავაში ევროპის სახალხო კონგრესზე შეიკრიბნენ.

საქართველოდან კონგრესის მუშაობაში “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” მონაწილეობს, რომელიც ამ პარტიის სრულუფლებიანი წევრი ერთი წლის წინათ გახდა. **“ჩვენ უკვე ვართ ევროპული ოჯახის ნაწილი. აქედან გამომდინარე, ჩართულები ვართ იმ პროცესებში, რაც დღეს ევროპას აწუხებს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ამ მოვლენებს გვერდიდან არ ვუყურებთ. ეს ჩართულობა წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე,”** - აღნიშნა პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი ქავთარაძემ.

კონგრესის ოფიციალურ გახსნამდე ვარშავაში შეკრებილები აცხადებდნენ, რომ განსახილველ საკითხთა შორის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა აქტუალური თემა იქნება. ევროპელი ლიდერები დაელოდებიან ქართული მხარის ოფიციალურ განცხადებებს და კონგრესის ფორმატში ქართული მხარის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, რის შემდეგაც რუსეთის მისამართით თავიანთ პროტესტს კიდევ ერთხელ გამოთქვამენ და რუსეთს საქართველოს დეოკუპაციას კიდევ ერთხელ მოსთხოვენ.

დღეს მიხეილ სააკაშვილი კონგრესზე დამსწრეებს ტრიბუნიდან მიმართავს და თავის გამოსვლაში ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე ისაუბრებს.

ევროპის სახალხო კონგრესის გენერალური მდივანი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს რუსეთ-საქართველოს გამწვავებულ ურთიერთობებზე. **“სამწუხაროდ, რუსეთი ევროპის სახალხო პარტიის წევრი არ არის. ევროპა ამ ტრიბუნიდან გააკრიტიკებს რუსეთს იმ ქმედებისთვის, რაც მან საქართველოში განახორციელა. ჩვენ ყურადღებით ველოდებით საქართველოს პრეზიდენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. იმედი მაქვს, რომ ევროპელი ლიდერები ევროპის პოზიციას კიდევ ერთხელ დააფიქსირებენ,”** - განაცხადა ევროპის სახალხო კონგრესის გენერალურმა მდივანმა ვილფრიდ მარტენსმა.

რუსული საოკუპაციო ჯარების გაყვანას და ქვეყანაში საპროტესტო აქციების თემას ვარშავაში საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ყოფილი მრჩეველი მარტ ლაარიც გამოეხმაურა. **“ოპოზიცია მხოლოდ ქუჩაში აქციების გამართვით და ხალხის ერთმანეთთან დაპირისპირებით არ უნდა იყოს დაკავებული. ეს არ არის რეალურად ოპოზიციის ფუნქცია, რადგან ამან შესაძლოა ქვეყნის სტაბილურობას შეუქმნას საფრთხე. ახლა საქართველოში ყველაზე დიდი პრობლემა რუსული საჯარისო ძალების მობილიზებაა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ომი რუსეთთან ბოლომდე არ დასრულებულა და მისი განახლება ნებისმიერ წუთს, ხელსაყრელი მომენტის შექმნისთანავე არის შესაძლებელი,”** - განაცხადა მარტ ლაარიმ.

როგორც ევროპელი ექსპერტები ამბობენ, საქართველო “დიდი ევროპული ოჯახის წევრია” და კონგრესი კიდევ ერთი დადასტურება იქნება იმ მხარდაჭერისა, რომელსაც ევროპა საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ევროკავშირში გაწევრიანებისთვის უცხადებს.

კონგრესის გახსნამდე ბიუროს სხდომა გაიმართა, რომელსაც საქართველოდან “ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის” ლიდერი გიორგი თარგამაძე დაესწრო.

ბიუროზე სიტყვით გამოსვლისას თარგამაძემ საქართველოში შექმნილ ვითარებასა და შექმნილი ვითარებიდან გამოსვლის თაობაზე ქართველ “ქრისტიან-დემოკრატთა” შეხედულებაზე ისაუბრა.

გიორგი თარგამაძემ ასევე ყურადღება გაამახვილა ევროპის როლზე საქართველოს დეოკუპაციისა და სუვერენიტეტის განმტკიცების პროცესში, ქრისტიან-დემოკრატიულ ფასეულობებსა და პრინციპებზე.

“ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის” ლიდერი ვარშავაში ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტსა და გენერალურ მდივანსაც შეხვდა.

## აფხაზეთი საკურორტო სეზონისთვის ემზადება

სეპარატისტული აფხაზეთის დედაქალაქი სოხუმი მიმდინარე წლის საკურორტო სეზონისთვის ემზადება. სოხუმის ე.წ. მერის, ალიას ლაბახუას განცხადებით, სერგეი ბაგაფშმა ქალაქის ადმინისტრაციას ადამიანთა დასვენებისთვის მაქსიმალურად კომფორტული პირობების შექმნა მოსთხოვა. “ყველაფერს ვაკეთებს ამისთვის,” - აცხადებს ლაბახუა და დასძენს, რომ 2008 წლის საკურორტო სეზონმა დამსვენებელთა მომსახურების დაბალი დონე განსაკუთრებით საზოგადოებრივი კვების ობიექტებში აჩვენა. “ამ ხარვეზის გამოსასწორებლად შესაბამისი განკარგულებები უკვე გავეცით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პლაჟებზე არსებულ კვების ობიექტებს,” - აცხადებს ლაბახუა. მისი თქმით, ყოველივე ამის გარდა, აფხაზეთში არსებულ ყველა კერძო სასტუმროს მფლობელს წარედგინება მოთხოვნა, სასტუმროებში ვიდეოთვალის დამონტაჟების შესახებ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სოციალურად დაუცველებს წინასწარ გაცემული თანხები დაუქვითეს

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ღრმაღელეში მცხოვრები ვახტანგ თენეიშვილის შვილი აცხადებს, რომ მის მშობლებს, 54 ლარის ნაცვლად, 12-12 ლარს აძლევენ. “როცა ფულადმა დახმარებამ მოიმატა, 54 ლარი მიიღეს და სრულყოფილად აიღეს დეკემბრის ჩათვლით, თუმცა იანვარ-თებერვალ-მარტში 12-12 ლარი მიიღეს. ამის გასარკვევად ლანჩხუთის სამსახურს მივმართე, სადაც მითხრეს, რომ ზედმეტი ჰქონდათ მიღებული და ახლა იმას უქვითავენო,” - აცხადებს თენეიშვილების შვილი. ამასვე ადასტურებენ ლანჩხუთის სუბსიდიების სააგენტოში. “აღმოჩნდა, რომ თანხა ზედმეტად ჰქონდათ მიღებული თავდაპირველი დანიშვნის დროს, როცა სახელმწიფომ ოჯახებზე წინასწარ გასცა დახმარებები. როგორც ჩანს, მათ ის ვალი ჩამოაკლეს იანვარ-თებერვალ-მარტში და 12-12 ლარსაც ამიტომ იღებდნენ. ახლა კი რაკი დავალიანება გაისტუმრეს, თანხასაც სრულყოფილად მიიღებენ,” - აცხადებენ სამსახურში. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ˝პროცესები ისე ვითარდება, რომ აუცილებლად გადაიზრდება სამოქალაქო დაპირისპირებაში˝

“მომავალი საქართველოს” ლიდერი გიორგი ლაღიძე ხელისუფლებასა და ოპოზიციას დიალოგისკენ მოუწოდებს. როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე გიორგი ლაღიძემ განაცხადა, თუ მხარეებს შორის არ შედგება პოლიტიკური დიალოგი, ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების რისკები გაიზრდება. “რაც შეეხება ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ კრიზისს, ვფიქრობ, დიალოგს ალტერნატივა ნამდვილად არა აქვს და პროცესები იმ თვალსაზრისით ვითარდება, რომ აუცილებლად გადაიზრდება სამოქალაქო დაპირისპირებაში და ოპოზიციური სპექტრი დაკარგავს იმ ხალხის მხარდაჭერას, ვინც თუნდაც დღეს უჭერს მხარს. აქედან გამომდინარე, მოვუწოდებ ხელისუფლებას და ოპოზიციას, დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან და ყველა საკითხი მოლაპარაკების გზით გადაწყვიტონ,” - განაცხადა ლაღიძემ.

მან ასევე ისაუბრა ოპოზიციის მხრიდან ჟურნალისტების ზეწოლაზე. “მინდა, აღვნიშნო ოპოზიციის მხრიდან ჟურნალისტებზე ზეწოლის ფაქტები. ეს ყოვლად მიუღებელია. მინდა, ასევე მოვუწოდო ხელისუფლებას, ნურავინ გამოიყენებს ჟურნალისტებს სათავისოდ, თუნდაც ბრმა იარაღად. ჟურნალისტმა უნდა შეასრულოს თავისი პროფესიული მოვალეობა,” - განაცხადა გიორგი ლაღიძემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## კრემლში ˝შეშფოთებულნი არიან˝ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრთან საქართველოს სამხედრო ძალის თავმოყრით

რუსული მედია კრემლში არსებულ წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ კრემლში შეშფოთებულნი არიან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრებთან საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა და სამხედრო ძალის თავმოყრით.

“აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ტერიტორიებზე რუსული სამშვიდობო კონტინგენტის გაყვანის შემდეგ სიტუაცია კვლავ ფეთქებადსაშიში რჩება. იქ საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა, პოლიციური ქვედანაყოფებისა და სამხედრო ძალის კონცენტრაცია მიმდინარეობს.,” - წერს რუსული მედია კრემლში არსებულ წყაროზე დაყრდნობით. “საერთო ჯამში, აქ თავმოყრილია საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების 2,5 ათასი წარმომადგენელი. გახსნილია 50-ზე მეტი სტაციონარული და მობილური საგუშაგო, მიდის აქტიური საინჟინრო სამუშაოები. სამხრეთ ოსეთის მოსაზღვრე რაიონებში კი მძიმე ტექნიკის თავმოყრა ხდება,” - აცხადებს კრემლის წყარო. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ˝თავისუფალი აზრის სახლში˝ დიდი და პატარა ლიახვის ხეობიდან დევნილები ˝დარბაზს˝ დააფუძნებენ

დღეს “თავისუფალი აზრის სახლში” დიდი და პატარა ლიახვის ხეობიდან დევნილები “დარბაზს” დააფუძნებენ. როგორც “თავისუფალი აზრის სახლის” პრესსამსახურის უფროსმა ქეთევან ლომაიამ განაცხადა, “ეს ორგანიზაცია იქნება დევნილთა ერთგვარი კავშირი, რომელიც დევნილთა უფლებებს დაიცავს. ეს იქნება არასამთავრობო ორგანიზაცია საკუთარი წესდებით.” **ჯი-ეიჩ-ენი**

# სუფთა ფრანგული შეფასება: "საქართველო - ორგანიზებული არეულობა"

პირველი გვერდიდან

პროექტი, რომელიც სტუდენტების გაცვლით პროგრამას გულისხმობს, კავკასიის ჟურნალისტიკის სკოლასთან ერთად ხორციელდება, რომელიც საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ბაზაზე ფუნქციონირებს.

ყველაფერი კი, აი, ასე დაიწყო: პროექტის განსახორციელებლად ლილის უმაღლესი ჟურნალისტური სკოლა და კავკასიის ჟურნალისტიკის სკოლა ერთმანეთს გიოტენბორგში, 2008 წლის მსოფლიო საგამომცემლო ფორუმზე დაუკავშირდნენ. ფრაგმენტული ხასიათი თანამშრომლობას ჯერ კიდევ 2002 წლიდან ჰქონდა, როცა პერიოდულად ჩამოდიოდნენ ფრანგული სასწავლებლის ლექტორები.

ლილი ტრადიციულად ყოველ წელს უშვებს ჟურნალს, რომელიც ფაქტობრივად არის მაგისტრატურის პირველი კურსის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში. მთელი კურსი მიემგზავრება რომელიმე ევროპულ დედაქალაქში და იქ მუშაობს. დღემდე მომზადებულია ჟურნალები ლონდონის, ბერლინისა და ბრიუსელის შესახებ. წელს თბილისი და საქართველო მოექცა მათი ინტერესების არეალში. სტუდენტები, რომელთაც ჩამოსვლა მოუწიათ საქართველოში, იანვრიდან მოყოლებული, სერიოზულად მუშაობენ საქართველოს თემაზე. თბილისში ჩამოსვლამდე შეხვდნენ, საფრანგეთის მთავრობის წევრებს, დამოუკიდებელ ესქპერტებს და საქართველოს ელჩს საფრანგეთში, ქართული დიასპორის წევრებს, ცნობილ მუსიკოსებსა და რეჟისორებს, საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველს. ეს მათ დაეხმარათ მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია მიეღოთ საქართველოს ისტორიაზე, დღევანდელ მდგომარეობასა და კონტექსტზე - ანუ ყველაფერზე, რაც ზედაპირზე არ ძევს. მათ დაიწყეს წყაროების მოძიება, შეგროვებული მასალების დამუშავება, კვლევა.

საქართველოში ჩამოსვლის დროს ფრანგ ჟურნალისტებს მიეცათ საშუალება შესულიყვნენ კონფლიქტის ზონაში, კერძოდ, რუსეთის მიერ ოკუპირებლ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. ეს სოფელ ერგნეთში სამთავრობო დონეზე პირველი სამუშაო შეხვედრის შემდეგ გახდა შესაძლებელი. სტუდენტები მეორე დღეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ევროკავშირის მონიტორინგის მისიის მეშვეობით ჩავიდნენ. გარდა ამისა, მათ თითქმის მთელი საქართველო მოიარეს, გარდა აფხაზეთისა.

ვებგვერდზე, რომელიც ერთი თვის წინ ამოქმედდა, მოცემულია განსხვავებული რუბრიკები, მაგალითად, პოლიტიკა, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, ეკონომიკა, ენერგეტიკა, საზოგადოება, რა ხდება ომის შემდეგ, მზერა დასავლეთისკენ, გარემოს დაცვა და ურბანული განვითარება და კულტურა. ფრანგ სტუდენტებთან ერთად მუშაობს ცხრა პედაგოგი.

"ისევე, როგორც ჩვენთან, ლილის უმაღლეს ჟურნალისტურ სკოლაში ყველა მასწავლებელი არის მოქმედი, პროფესიონალი ჟურნალისტი," - ამბობს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი მაია მიქაშავიძე.

მაგალითად, ვებგვერდზე მუშაობს ადამიანი, რომელიც ამავდროულად "ლე მონდის" ვებგვერდზეც მუშაობს. ჩამოსულია ოლივიე მიშელი, ცნობილი ფრანგი ჟურნალისტი, რომელიც კარგად იცნობს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. იგი კოლეგებთან ერთად მუშაობს სტუდენტებისთვის საქართველოს შესახებ ინფორმაციის სწორად მიწოდებაზე.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ფრანგი სტუდენტების მუშაობაში ჩანს, უკვე მრავალჯერ გაშუქებული თემის ახლებურად წარმოჩენისთვის ორიგინალური კუთხის მონახვაა. ამის საუკეთესო მაგალითად შეიძლება დასახელდეს რუბრიკა "მზერა დასავლეთისკენ", სადაც ფრანგმა ჟურნალისტებმა სცადეს, გაერკვიათ რამდენად გათავისებული აქვს ქართველ ერს დასავლური ღირებულებები, როგორია ჩვენს ქვეყანაში ევროპული თვითმყოფადობის შეგრძნება, რით გამოიხატება დასავლეთისკენ მისწრაფების კონკრეტული მაგალითები და ა.შ.

რაც შეეხება გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ქართველი სტუდენტების გამგზავრებას საფრანგეთში, ეს ჯერჯერობით სამომავლო პერსპექტივაა, რომელიც ერიოზულ ხარჯებთან არის დაკავშირებული, თუმცა დაინტერესება ორივე მხარისგან დიდია.

## მოგზაურობა ფრანგულად

ტიბო მარშანი, მიქაელ შატკოვსკი და ტომა ლულუნი ლილის ჟურნალისტიკის უმაღლესი სკოლის სტუდენტები და მოქმედი ჟურნალისტები არიან. დასავლური ქვეყნების შემდეგ საქართველოში მოგზაურობა და ახალი, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნის გაცნობა მათთვის ძალზე საინტერესო აღმოჩნდა. ისინი ამბობენ, რომ საქართველოთი გაოცებულნი არიან. "თქვენი ქვეყანა იმაზე საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე ველოდით," - ამბობენ ერთხმად. ფრანგები საქართველოში უკიდურეს სიღარიბეს, რუსეთ-საქართველოს ომით გამოწვეულ დანგრეულ ქვეყანას და პესიმისტი, დემორალიზებული ადამიანების ხილვას ელოდნენ. თუმცა... "ველოდით რომ ვნახავდით უამრავ ღატაკ ადამიანს, რომლებიც ქუჩებში ცხოვრობენ და თავშესაფარი არ აქვთ, დაახლოებით ისეთ მდგომარეობას, როგორიც განუვითარებელი აფრიკის ქვეყნებშია. საქართველოში კი, არცთუ ისე ცუდად არის საქმე," - ასეთია მათი ზოგადი შთაბეჭდილება.

ფრანგი ჟურნალისტების გაოცება იმან გამოიწვია, რომ "ყოფილი საბჭოთა ქვეყანა, სადაც ძალადობა მმართველობის მთავარი იარაღია", რამდენიმეკვირიანი პროტესტის რეჟიმში ცხოვრობს, დედაქალაქის მთავარი პროსპექტი გადაკეტილია, თბილისს კარვების და საკნების ქალაქი ჰქვია, პოლიცია კი აღნიშნულ პროტესტს მშვიდად, ყოველგვარი ძალის გამოყენების გარეშე ხვდება. "ორი კვირის განმავლობაში თბილისში ვართ, ვხედავთ კარვებს, საკნებს და ძალიან გვიკვირს. საფრანგეთში ასეთი რამ წარმოუდგენელია, წარმოუდგენელია პარიზის ცენტრალური ქუჩები გადაკეტილი იყოს, პოლიცია კი ასეთ დროს დემონსტრანტებს მშვიდად ადევნებდეს თვალყურს, დარბევის და ძალის გამოყენების გარეშე," - ამბობენ ჟურნალისტები.

ალბათ მკითველისთვის საინტერესო იქნება, როგორ მსჯელობს სამი ფრანგი ახალგაზრდა საქართველოში ნანახსა და განცდილზე.

**ტიბო მარშანი:** "ვიცოდით, რომ საქართველო საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო; ასევე ვიცოდით ვარდების რევოლუციის და რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ. არ გვინდოდა, რომ მხოლოდ ომის თემაზე გვემუშავა. სამუშაო საქართველოში ძალიან ბევრი აღმოჩნდა. რამდენიმე თემაზე ვმუშაობდი და ერთ-ერთი გახლავთ ღვინო. ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის კახეთში ვიზიტი. ვიყავი თელავში, ნაფარეულში. შევხვდი ღვინის მწარმოებელი კომპანიების ხელმძღვანელებს, საქართველოში კახეთი ღვინის სამშობლოდ ითვლება და აღმოვაჩინე, რომ ძალიან ბევრი დიდი თუ მცირე ღვინის საწარმოა. კახური ღვინის დაგემოვნების შემდეგ შემიძლია გითხრათ, რომ იგი ფრანგულს ნამდვილად სჯობს."

**მიქაელ შატკოვსკი:** "მე ვებსაიტის ადმინისტრატორი ვარ, ამავდროულად - ფოტოგრაფიც. რამდენიმე თემაზე ვიმუშავე, ვიყავი ფოთში. ფოთი ჩემთვის აღმოჩენაა. შევხვდი ჩვეულებრივ მოქალაქეებს; დავინტეერსდი მათი ცხოვრების პირობებით და მინდა გითხათ, რომ იქ ხალხი კარგად არ ცხოვრობს. საქართველოში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ჯერ არ იგრძნობა, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს ტალღა საქართველოსაც შეეხება."

**ტომა ლულუნი:** "საქართველოში რამდენიმე საკითხზე ვიმუშავე. პირველი გახლავთ ქართული ეკონომიკა და მისი განვითარების პერსპექტივები, ღვინის ექსპორტის თემა, როგორია ღვინო, რომელსაც რუსეთმა ემბარგო დაუწესა; პოლიცია, მისი ცხოვრების დონე და კორუფციის ხარისხი ქვეყანაში. გავარკვიე, რომ პოლიცია საქართველოში პრიორიტეტული სტრუქტურაა. პოლიციელები უფრო კარგად ცხოვრობენ, ვიდრე ექიმები ან თუნდაც მასწავლებლები. რაც შეეხება კორუფციას, გაირკვა, რომ საქართველოში კორუფციის დონე მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა ამ კუთხით მაინც არსებობს გარკვეული ხარვეზები. შევხვდი და გავსაუბრე "საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველოს" წარმომადგენლებს."

**ტიბო მარშან:** "ახლა საქართველოში საპროტესტო დემონსტრაციები იმართება. ჩვენც თვალყურს ვადევნებთ მის მიმდინარეობას. დავდივართ აქციებზე. ყველა კონცენტრირებულია ერთ პიროვნებაზე, ოპოზიციაც და მთავრობაც. ეს პიროვნება არის მიხეილ სააკაშვილი. არც ოპოზიციის და არც მთავრობის მხრიდან საუბარი არ არის პროგრამაზე, იდეოლოგიაზე. ოპოზცია არ საუბრობს, რა უნდათ, განვითარების როგორი ხედვები აქვთ. მათი ერთადერთი მოთხოვნა პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომაა, რაც ცოტა უცნაურია. "

**მიქაელ შატკოვსკი:** "მე შევხვდი ოპოზიციის ერთ-ერთ წარმომადგენელს, სალომე ზურაბიშვილს. ის ჩამოყალიბებული პოლიტიკოსია, ზუსტად ისე საუბრობს, როგორც ჩვენთან საუბრობენ პოლიტიკოსები."

**ტომა ლულუნ:** "ჩემთვის ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ საქართველოში ძალიან ადვილია პოლიტიკოსებთან შეხვედრა. საფრანგეთში ეს ძალიან რთულია და ბევრ პროცედურას მოითხოვს."

**ტიბო მარშან:** "საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იყო ვარდების რევოლუცია, როდესაც მოხუცი შევარდნაძე რევოლუციის სედეგად დაემშვიდობა ქვეყნის მმართველობის სადავეს და ქართველებმა პრეზიდენტად ახალგაზრდა სააკაშვილი აირჩიეს."

**მიქაელ შატკოვსკი:** "რევოლუციის შემდეგ თქვენს ქვეყანაში ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისკენ და ვფიქრობ უარესობისკენაც. ქვეყანაში კორუფციის დონე შემცირდა, თუმცა ამავდროულად, პრესის თავისუფლებაც შეიზღუდა. "

**ტომა ლულუნ:** "საფრანგეთშიც არ არის ყველაფერი იდეალურად. ჩემი აზრით, სააკაშვილი საქართველოსთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, მან ქვეყანაში ევროპული ფასეულობები შემოიტანა, კარგი ურთიერთობები აქვს შეერთებულ შტატებთან."

**ტიბო მარშან:** "ახლა, მიტინგებზე არის ლოზუნგები, რომ სააკაშვილი დიქტატორია. მე ამ ქვეყანაში არ ვცხოვრობ, თუმცა იმ პერიოდის განმავლობაში, რაც აქ ვარ, უკვე შემიძლია დასკვნები გავაკეთო და ვერ ვიტყვი, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი დიქტატორია. მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ საქართველოში დემოკრატია იმ დოზით არის, რაც საჭიროა ყველა ქვეყნისთვის, პრობლემები აქვს პრესას, თუმცა პრესისთვის სამოთხე არც საფრანგეთშია."

**ტომა ლულუნ:** "ძალიან რთულია ჩემთვის კონკრეტული მიზნის და პრობლემის დასახელება, რისთვისაც ხალხი ქუჩაში დგას. როდესაც მათ ვესაუბრები, ყველას განსხვავებული მოთხოვნები აქვს და მათი თქმით, ქვეყანაში არსებული ყველა პრობლემა მხოლოდ ერთი ადამიანის, სააკაშვილის ბრალია."

**ტიბო მარშან:** "როდესაც საქარათველოში მოვდიოდი, კარგად ვიცოდი, რომ წინა წელს ამ ქვეყანაში იყო ომი, რითაც ძალიან იზარალა საქართველომ. გარდა ამისა, ვიცოდი, რომ ეს იყო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, სადაც ხალხი ძალიან ღარიბად ცხოვრობს. თბილისის ქუჩებში სიღარიბე არ იგრძნობა, მოძრაობენ უახლესი მოდელის ავტომობილები, რაც ძალიან მიკვირს. თუმცა მხვდება სიღარიბეც, საქართველო კონტრასტების ქვეყანაა. რაც შეეხება რეგიონებს, არც კახეთი მიმაჩნია ღარიბ რეგიონად. თელავშიც და ნაფარეულშიც ხალხი ნორმალურად ცხოვრობს."

**მიქაელ შატკოვსკი:** "სახლი, სადაც მე ვცხოვრობ, თბილისის ძველ უბანში მდებარეობს და ძალიან ძველი შენობაა. როგორც მითხრეს, საბჭოთა კავშირის დროინდელია და ძალიან ცუდად გამოიყურება. თუმცა ზოგადად ვერ ვიტყვი, რომ საქართველო ძალიან ღარიბი ქვეყანაა. თუმცა ჩემი მეგობარი რუსთავში იყო და იქიდან ძალიან დათრგუნული ჩამოვიდა. იქ ხალხი ძალიან ღარიბად ცხოვრობს, პატარა სახლებია. ყველა ქვეყანას აქვს პრობლემები, მთავარი ქვეყნის მთავრობამ ამ პრობლემების მოგვარებაზე იმუშაოს. ჩვენ დასავლური ქვეყნიდან ვართ და არ მინდა ისე გამოვიდეს, რომ თითქოს მიგითითებთ, თუ როგორ იცხოვროთ."

**ტომა ლულუნ:** "საქართველოში გზები კარგია, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნისთვის. მხვდება თანამედროვე შენობები, კაზინოშიც ვიყავი და... ვერ გეტყვით, რომ თბილისში ხალხი ღარიბად ცხოვრობს. თქვენს ქვეყანას უმარავი რესურსი აქვს და თუ სწორად გამოიყენებთ მას, ღარიბი ქვეყანა ნამდვილად არ გერქმევათ. ამ პერიოდის მანძილზე რაც თბილისში ვარ, ჩემთვის ყველაზე შემაწუხებელი მოძრაობის წესებია."

**ტიბო მარშან:** "საქართველოსთვის პოლიტიკურად და ეკონომიკურადაც მომგებიანი იქნება გახდეს ევროკავშირის წევრი, თუმცა მე ვფიქრობ, რომ ეს არცთუ ისე ახლო პერსპექტივაა. სანამ საქართველო ეკონომიკურ პრობლემებს არ მოაგვარებს და ტერიტორიულ მთლიანობას არ აღადგენს, ევროკავშირის წევრი ვერ გახდება. ძლიან ბევრი მასალა მიგვაქვს რუსეთ-საქართველოს ომზე. ომი რუსეთმა დაიწყო, რამაც ქართველები ძალიან დააზარალა. ახლა რუსეთს ძალიან აღიზიანებს საქართველოს მისწრაფება ნატო-ში, რადგან გარკვეულ საფრთხეებს გრძნობს."

**მიქაელ შატკოვსკი:** "ომის პერიოდში საქართველო ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ არა საერთაშორისო თანამეგობრობა, ახლა თქვენს ქვეყანაში ძალიან ცუდი ვითარება იქნებოდა. ჩვენი პრეზიდენტი სარკოზი პირადად იმყოფებოდა თბილისში. ვფიქრობ, სარკოზისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ეჩვენებინა მსოფლიოსთვის, რომ ის მშვიდობის მტრედია."

**ტომა ლულუნ:** "რუსული აგრესია საქართველომ მძიმედ გადაიტანა, ჯერ კიდევ ოკუპირებულია მისი ტერიტორიები. პრეზიდენტმა სააკაშვილმა რუსეთთან ურთიერთობა უკეთესობისკენ უნდა შეცვალოს. საქართველო პატარა ქვეყანაა და მეზობლად ასეთი დიდი და ძლიერი მტერი მას კიდევ ბევრ საფრთხეს შეუქმნის."

**ტიბო მარშან:** "ვინაიდან ქართული არ გვესმის, ვერ ვიგებთ, როგორ მუშაობს ქართული მედია, ვერ ვკითხულობთ პრესას, ვერ ვუსმენთ რადიოს. ვიცი ის, რომ საქართველოში მეტი ყურადღება ექცევა ტელევიზიას, პრესა და რადიო არ არის განვითარებული. და თუ ეს მართლაც ასეა, ძალიან ცუდია. პრესაც და რადიოც მედიის მნიშვნელოვანი დარგებია."

**ტომა ლულუნ:** "კარგი იქნება, რომ ქართულმა მედიამ უფრო მეტი იმუშაოს ხარისხზე. განვითარებული იყოს მასმედიის ისეთი დარგი, როგორიც მულტიმედიაა."

**ტიბო მარშან:** "საფრანგეთში არ არის პრესა იდალურ მდგომარეობაში, თუმცა იქ ხელისუფლება ღიად ვერ ერევა მის საქმიანობაში. საქართველოში კი გავიხსენებ დამოუკიდებელი კომპანია "იმედის" დახურვის ფაქტს, როდესაც იქ სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლები შევიდნენ."

**მიქაელ შატკოვსკი:** "არსებობს ასეთი არასამთავრობო ორგანიზაცია RSF, რომელიც აქვეყნებს რეიტინგებს და ინფორმაციას პრესის თავისუფლების შესახებ. არც ისე დიდი ხნის წინ, საქართველო მე-60-ე პოზიციაზე იყო, ახლა კი 97-ე პოზიციას იკავებს, რაც კარგი მაჩვენებელი ნამდვილად არ არის."

**ტომა ლულუნ:** "ჩვენთან პრესაზე პირდაპირი ზეწოლა არ არსებობს. მას უფრო სხვა ფორმა აქვს. მედიასაშუალებების მფლობელები ის ადამაინები არიან, რომლებიც ჩართულნი არიან უკანონო ბიზნესში, მაგალითად, იარაღით ვაჭრობაში, ეს კომპანიები კი კავშირშია სარკოზისთან. აქედან გამომდინარე, ჟურნალისტებს უწევთ თვალის დახუჭვა ბევრ საკითხზე, ჟურნალისტებზე ზეწოლა უშუალოდ მედიახელმძღვანელობის მხრიდან მოდის და არა მთავრობისგან."

**ტიბო მარშან:** "ჩამოსვლისთანავე თვალში მომხვდა რამდენიმე შენობა, რომელიც ტიპიური საბჭოთა არქიტექტურის ნაწილია. ამ შენობების მიხედვით შეიძლება იფიქრო, რომ ეს ქვეყანა ოდესღაც საბჭოთა იმპერიის ნაწილი იყო."

**მიქაელ შატკოვსკი:** "კლიშეების დონეზე ვიცი, როგორი იყო საბჭოთა კავშირი. ზოგადად მეც შემიძლია ვთქვა, რომ არქიტეტქურაში გამართლდა ჩემი წარმოდგენა საბჭოთა კავშირზე, როგორსაც ველოდი ზუსტად ისეთი შენობები დგას თბილისში. თუმცა, დედაქალაქის გარკვეულ ნაწილებში თანამედროვე დასავლური ტიპის ნაგებობებიც ვნახე და გავეცანი მათ ისტორიას."

**ტიბო მარშან:** "როდესაც ღვინის თემაზე ვმუშაობდი, აღმოვაჩინე, რომ ქართველებს ბევრი ფილმი გაქვთ გადაღებული ღვინოზე. ძალიან გამიკვირდა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში ღვინის მრავალწლიანი ტრადიციაა, ასეთი ტიპის ფილმები ცოტაა."

**მიქაელ შატკოვსკი:** "ქართველებს ძალიან კარგი ფოლკლორი გაქვთ და აბსოლუტურად ბუნებრივია, რომ ამით ამაყობთ. ამის მიუხედავად, საქართველოში ძალიან პოპულარულია ამერიკული მუსიკა. ქათული როკ-ბენდები და ალტერნატიული მუსიკა ნაკლებად მხვდება. საქართველო ძალიან ლამაზი ქვეყანაა და თუ კიდევ მომეცემა შანის აუცილებლად ჩამოვალ."

**ტომა ლულუნ:** " გული მწყდება რომ საქართველოს ვტოვებ, ძალიან ბევრი რამის ნახვა ჯერ კიდევ ვერ მოვასწარი, თუმცა იმედი მაქვს რომ კიდევ გესტუმრებით.

დასასრულს, ფრანგ კოლეგებს საქართველოს ერთი ფრაზით შეფასება ვთხოვეთ. სამივე მათგანმა ერთხმად აღნიშნა: "საქართველო - ორგანიზებული არეულობა."



# სასურსათო საფრთხე

რევაზ საყევარიშვილი



თავდიან ერთი ციტატით დავიწყოთ - ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, 2008 წლის აპრილში ბრიუსელში ევროკავშირმა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების კუთხით საქართველოზე შუალედური დასკვნა გამოაქვეყნა. სხვა ბევრ კონკრეტულ საკითხთან ერთად ამ დასკვნაში ასეთ რამესაც ვკითხულობთ: “საქონლის თავისუფალ ბრუნვასა და ტექნიკურ რეგულირებასთან დაკავშირებით, საქართველომ შეძლო განეხორციელებინა ტექნიკური რეგულირების სისტემის რეფორმირება, რის შედეგადაც დაინერგა ნებაყოფლობითი სტანდარტები, შესაბამისობის დადგენის პროცედურები და სავალდებულო ტექნიკური რეგულაციები. რამოდენიმე შესწორება შევიდა კანონებში საქონლის და მომსახურების სერტიფიცირების შესახებ, საზომი ერთეულების სიზუსტის და სტანდარტიზაციის შესახებ. ეს ცვლილებები გახდა საკანონმდებლო საფუძველი ნებაყოფლობითი სტანდარტების და მესამე ქვეყნების ტექნიკური რეგულაციების შემოღებისათვის. განხორციელდა ინსტიტუციური რეფორმა ორი დამოუკიდებელი სააგენტოს შექმნის გზით, ესენია: სტანდარტების, ტექნიკური რეგულირების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო და აკრედიტაციის გაერთიანებული ეროვნული ცენტრი, რომლებიც შეიქმნა ყოფილი სტანდარტიზაციის სამსახურის - “საქსტანდარტის” საფუძველზე. სტანდარტების, ტექნიკური რეგულირების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსათვის ხელმისაწვდომი გახდა სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა. თუმცა, ჯერ კიდევ დიდი მოცულობის სამუშაოა ჩასატარებელი საწარმოო და კვლევითი ორგანიზაციებისათვის ხარისხის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მისაწოდებლად.

სანიტარულ და ფიტოსანიტარულ საკითხებთან დაკავშირებით 2005 წელს საქართველომ მიიღო კანონი სურსათის უსაფრთხოების და ხარისხის შესახებ, 2006 წელს შეიქმნა სასურსათო უსაფრთხოების, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის სამსახური. თუმცა, 2007 წელს გადაწყდა, რომ რეფორმის ისეთი საკვანძო სფეროები, როგორიცაა სურსათის უსაფრთხოების სრული კონტროლი, 2009 წლამდე გადადებულიყო. ამის მიზეზად დასახელებული იყო თვით ამ სამსახურის მწირი შესაძლებლობები და ორგანიზაციების მიერ ამ წესების შესრულებასთან დაკავშირებული სირთულეები. საქართველო მიუერთდა “მცენარეთა დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციას.” საქართველოს სურს, დაიწყოს თევზის და ზღვის პროდუქტების ექსპორტირება ევროკავშირის ბაზარზე და ამ მიზნით დაიწყო მუშაობა ევროკომისიასთან. ღორის აფრიკული ციების ეპიდემიის შემდეგ, საქართველომ შექმნა ინსტიტუციური სტრუქტურა და შეიმუშავა ღონისძიებების ნუსხა ამ დაავადების აღმოსაფხვრელად. საქართველომ მონაწილეობა მიიღო ევროკომისიის მიერ ორგანიზებული შეხვედრებში პროგრამის “უკეთ მოვემზადოთ უსაფრთხო საკვების უზრუნველყოფისათვის” ფარგლებში”.

ერთი შეხედვით, საკმაოდ ნეიტრალური დასკვნაა. არც მიღწევების აღნიშვნაა დავიწყებული, თუმცა, კრიტიკული შენიშვნებიც ახლავს. და განვლილ ერთ წელიწადში რა შეიცვალა? ბევრი არაფერი. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ სურსათის უვნებლობის სრული კონტროლი კიდევ ერთი წლით - 2010 წლამდე გადაიდო და იქვე აღინიშნა, რომ “საჭიროების შემთხვევაში” კიდევ გადავადდება. ამ გადაწყვეტილების მიმყოლი კიდევ ერთი პრობლემა კი ის არის, რომ მომხმარებელს თავის დაცვა არანაირად არ შეუძლია. კვების პროდუქტების სფეროში აბსოლუტური უკონტროლობაა. შედეგად, ის ძირითადი პროდუქცია, რასაც მოვიხმართ, სარისკო და საეჭვოა.

მაგალითად, პური: ყველა საცხობს საკუთარი სტანდარტები აქვს დაწესებული, ამის მაკონტროლებელი კი არავინაა. მომხმარებელს ძალიანაც რომ უნდოდეს, ჯანსაღ პროდუქტს ვერ აირჩევს, რადგან, ელემენტარულად, ნაყიდი პროდიქტის ეტიკეტი ამ ინფორმაციას არ აძლევს. კვების პროდუქტების ექსპერტების ანალიზით, საშიში მალფუჭებადი პროდუქტებია ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები, პური, რძის პროდუქტები, ხორცის პროდუქტები და ძეხვეულობა. ანუ, პრაქტიკულად, ყველაფერი ის, რასაც ყოველდღიურად მოვიხმართ.

პრობლემა იმდენად მძიმეა, რომ თვით სახალხო დამცველის ყურადღების არეალშიც კი მოხვდა. მოხვდა, რადგან ძალიან ბევრი რამ, რაც იყიდება და მოიხმარება, სტანდარტებს არ აკმაყოფილებს და შეიძლება ჯანმრთელობისთვის სახიფათო იყოს. ეს ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა, რომელსაც სერიოზული ყურადღების მიქცევა სჭირდება. ეს არის დაკავშირებული ჯანმრთელობის უფლებასთან, სიცოცხლის უფლებასთან და სახელმწიფომ ამ მიმართულებით მონიტორინგი უნდა განახორციელოს.

არასამთავრობო ორგანიზაციების და დარგობრივი ასოციაციების დასკვნები კი საკმაოდ მძიმე შედეგებს ავლენს. მაგალითად, საქართველოს მეხორბლეთა ასოციაციაში ფიქრობენ, რომ ბაზარზე დიდი რაოდენობით გენმოდიფიცირებული პურის ფქვილი შემოდის, რაზეც სახელმწიფომ რეაგირება უნდა მოახდინოს და გარკვეული სტანდარტები შეიმუშაოს, რაც ბაზარს ჯანმრთელობისაგან საშიში პროდუქციისაგან დაიცავს. ლაპარაკია იმ დანამატებზე, რომელსაც საქართველოში შემოტანილი ფქვილის, პრაქტიკულად, 90% შეიცავს და რომელიც სხვა და სხვა ტიპის ჯანმრთელობისთვის მავნე შედეგებს იწვევს.

იგივე ითქმის პროდუქციის სხვა უამრავ სახეობაზეც, რომელიც საცალო ქსელში ყოველდღიურად იყიდება და საკმაოდ ბევრი საფრთხის შემცველია. ცალკე პრობლემაა პროდუქციის შეუსაბამობა მის სტანდარტებთან, რაც ასევე არანაკლებ “პოპულარული” მოვლენაა. ბოლო დროს სტარატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ საცალო ქსელში არსებული არაჟანის ცხიმების საერთო რაოდენობაში რძის ცხიმის შემცველობა 2-დან 80%-მდე მერყეობს. რაც იმას გულისხმობს, რომ საუკეთესო შემთხვევაში ამ პროდუქტში არსებული ცხიმების მხოლოდ 80%-ია რძის ცხიმი და დანარჩენი 20% რაღაც სხვა ცხიმია. ზოგიერთ არაჟანში კი ამ სხვა ცხიმების წილი 98%-მდეც კი ადის!

და ეს არ არის ერთეული შემთხვევები. იგივე მდგომარეობაა უამრავ სხვა პროდუქტთან დაკავშირებითაც, რომელიც ადგილზეც იწარმოება და საზღვარგარეთიდანაც ზღვად მოედინება.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით გარანტირებულია მომხმარებლთა უფლებების დაცვა. მომხმარებლთა უფლებები ასევე დაცულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და საქართველოს კანონებით “მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ”, “პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ”, “სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ” და სხვა ნორმატიული აქტებით. თუმცა, არც ამ დოკუმენტების აღსრულების ბაზა არსებობს ხშირად. ცალკეული კვების პროდუქტებით მოწამლული ადამიანების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციაც არ არსებობს. მოკლედ, მთელი ეს სისტემა დღეს ულრანი ტყეა, სადაც თვითეული ჩვენგანი ხელის ცეცებით დააბიჯებს.

## კლება აშშ-ს ბირჟაზე

გუშინ, აშშ-ს საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება გაგრძელდა. ინვესტორთა განწყობაზე უარყოფითი გავლენა კვლავ ღორის გრიპის ეპიდემიის საფრთხემ, რომელიც ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ მსოფლიო ეკონომიკას კიდევ უფრო შეასუსტებს, მოახდინა. გარდა ამისა, არცთუ დამაიმედებელია საბანკო სექტორის პერსპექტივა. საბოლოოდ, Dow Jones Index 0,1 პროცენტით, 8.016,95 პუნქტამდე შემცირდა. 0,33 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 1.673,81 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,27 პროცენტით, 855,16 პუნქტამდე მოიკლო.

## ნავთობის ფასი 50 დოლარი/ბარელს ჩამოსცდა

გუშინ, ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე “შავი ოქროს” ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 49,99 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 49,92 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა.

ბუნებრივი აირის ფასმაც მოიკლო და მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის - BTU-ს (ენერგიის ერთეული, რომელიც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გამოიყენება. მილიონი თერმული ერთეული 27 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის წვისას გამოყოფილ ენერგიას შეესაბამება) ღირებულებამ 6,12 დოლარი შეადგინა.

“შავი ოქროს” გაიაფების მიზეზი კვლავ ღორის გრიპის ეპიდემიის საფრთხე და მასთან დაკავშირებული მსოფლიო ეკონომიკის კედევ უფრო შემცირება გახლდათ. ცხადია, ყველაფერი ეს ენერგომატერებლებზე მოთხოვნილებას შეამცირებს. ამასთან, გავრცელდა ინფორმაცია აშშ-ში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მარაგების მოსალოდნელი ზრდის შესახებ.

მოიკლო “ოპეკის სანავთობე კალათის” ფასმაც და მისმა ღირებულებამ 49,21 დოლარი/ბარელი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ “ოპეკის სანავთობე კალათის” ფასი 50 დოლარი/ბარელის ნიშნულს უკანასკნელი სამი დღის გნმავლობაში პირველად ჩამოსცდა.

## ბაფეტის საქმეს გეითსი გააგრძელებს

სააგენტო Bloomberg-ისათვის მიცემულ ინტერვიუში ბილ გეითსმა, რომელიც უორენ ბაფეტის Berkshire-ის დირექტორთა საბჭოს წევრია, განაცხადა, რომ კომპანიაში სიცოცხლის ბოლომდე დარჩება. მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანის ეს განცხადება მოჰყვა ბაფეტის მიერ Berkshire-ის აქციების დიდი ნაწილის გეითსის და მისი მეუღლის მიერ დაარსებული საქველმოქმედო ფონდ Bill & Melinda Gates Foundation-ისათვის გადაცემას. Microsoft-ის დამაარსებლის თქმით Berkshire-ში მისი როლი განისაზღვრება კომპანიის კულტურისა და ფასეულობის მხარდაჭერით მას შემდეგ, რაც გენერალური დირექტორი და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, 78 წლის უორენ ბაფეტი საქმეს ჩამოშორდება. ომახელ ორაკულად წოდებული თავად მხცოვანი ინვესტორიც აცხადებს, რომ ძალზე მნიშვნელოვანია მისი მემკვიდრის პოვნა, რადგან, “არავინ იცის, ხვალ როგორ ვიქნები”, - თქვა მან.

პრესა კარგა ხანია განიხილავს კომპანიის თავკაცის პოსტზე ბაფეტის შემცვლელის კანდიდატურას. ბოლო დრომდე ყველაზე რეალურ პრეტენდენტად Berkshire-ის კუთვნილი კომპანია MidAmerican Energy Holdings-ის თავკაცი დევიდ სოკოლი ითვლებოდა. თუმცა, იგი აცხადებს, რომ ბაფეტთან ეს თემა არასოდეს განხილულა. გარდა ამისა, აგრეთვე სახელდებოდა Berkshire-ის ავტოსადაზღვევო განყოფილება Geico-ს დირექტორი ტონი ნაისლი და ბაფეტის მრჩეველი, ადრე Goldman Sachs-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ბაირონ ტროგი.

**თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლა (ESM)**
**აცხადებს მიღებას განახლებულ MBA პროგრამაზე**

**სავალდებულო მოთხოვნები**
- აუცილებელია მუშაობის მინიმუმ ორწლიანი გამოცდილება
- Microsoft Office-ის პროგრამების (Word, Excel, Power Point) სამუშაო დონეზე ცოდნა

**მიღების პროცედურა:**
- **საჭირო საბუთები**

\- სააპლიკაციო ფორმა, რომლის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია ჩვენს ვებ-გვერდზე www.esm.freeuni.edu.ge
\- CV
\- ელექტრონული ფოტოსურათი (3x4-ზე; 2 ცალი)
საბუთები გადმოაგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე mba2009@freeuni.edu.ge

- **საბუთების მიღების ბოლო ვადა:** 2009 წლის 6 მაისი
- **კონკურსი**

\- გამოცდა (კონკურსის მონაწილეებს უმოწმდებათ ლოგიკური აზროვნებისა და რაოდენობრივი მსჯელობის უნარი)
\- გასაუბრება

- **დამატებითი ინფორმაცია**

\- უნივერსიტეტში მოქმედებს მაგისტრანტთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა
\- შეძლებთ სწავლისა და სამსახურის შეთავსებას

- **ღია კარის დღე** - 2009 წლის 5 მაისი; 18:00 სთ

**მისამართი**
თავისუფალი უნივერსიტეტი, ე.ბედიას ქუჩა




*ღია კარის დღეზე დასწრების მსურველებს მოემსახურებათ ავტობუსი, რომელიც მეტრო დელისიდან თავისუფალი უნივერსიტეტის მიმართულებით გავა 17:30 სთ-ზე.*
**დამატებითი ინფორმაციისთვის:** www.esm.freeuni.edu.ge ან დაგვიკავშირდით:
51 94 81; 899 116 219; 893 303 550

### შსს: "ნაცემი მოქალაქეები პოლიციაში დაკითხვაზე არ გამოცხადდნენ"

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ძველი თბილისის რაიონის პოლიციის სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე ზაზა ელჩიბეგოვისა და ირაკლი კობახიძის ცემის ფაქტზე. აღნიშულ პირებს პოლიციამ გადასცა უწყება, სადაც განმარტებულია, რომ ისინი იყვნენ დაბარებულნი პოლიციაში რათა დაკითხულიყვნენ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, მათ უარი განაცხადეს ჩვენების მიცემაზე.

პოლიცია მოუწოდებს აღნიშნულ პირებს ითანამშრომლონ გამოძიებასთან რათა საქმეზე ჭეშმარიტება დადგინდეს.

ოპოზიციის ორ აქტივისტს ირაკლი კობახიძესა და ზაზა ელჩიბეგოვს 27 აპრილს, საღამოს თავს დაესხნენ. აქტივისტების მტკიცებით, ინციდენტი სასტუმრო "ივერიის" მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. მათ 30-მდე ადამიანი სასტიკად გაუსწორდა. ირაკლი კობახიძისა და ზაზა ელჩიბეგოვის მტკიცებით, თავდამსხმელები ნიღბების გარეშე იყვნენ. მათივე თქმით, თავდასხმა მაშინ მოხდა, როცა ისინი მიტინგიდან შინ ბრუნდებოდნენ. **მედიანიუსი**

### "ჟურნალისტს პროფესიული მოვალეობის შესრულებაში ხელი ყოფილმა პოლიციელმა შეუშალა"

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 27 აპრილს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიიდან "პირველი არხის" ჟურნალისტს ლიკა ხურციძეს პირდაპირ ეთერში ჩართვის საშუალება არ მისცა დუშეთის რაიონის პოლიციის უფროსის ყოფილმა მოადგილემ ზაზა მეტრეველმა. ზაზა მეტრეველი შს გენერალურმა ინსპექციამ 2006 წლის 11 აპრილს მოქალაქისთვის ქრთამის გამოძალვის ფაქტზე დააკავა. სასამართლომ მას 4 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

2008 წლის 16 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ზაზა მეტრეველი სხვა მსჯავრდებულებთან ერთად შეიწყალა. **მედიანიუსი**

### ადვოკატის განცხადება

მოძრაობა "ერთიანი საქართველოსათვის" აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელის ზურაბ ავალიანის ადვოკატი არჩილ ჩოფიკაშვილი მიიჩნევს, რომ ზურაბ ავალიანი უკანონო პატიმარია, რადგან მის მიმართ განხორციელდა არაკანონიერი ქმედებები, დაირღვა როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული ადამიანის უფლებები. ადვოკატი მოითხოვს შეწყდეს სისხლის სამართლებრივი დევნა ზურაბ ავალიანის წინააღმდეგ და მოხდეს მისი განთავისუფლება. ადვოკატის განცხადებით, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა (კუდ) სპეცოპერაციის შედეგად დააკავა. ოპერაცია ბათუმში ღამის 04-დან 05 საათამდე განხორციელდა. ავალიანის საცხოვრებელ სახლში, სადაც იმყოფებოდნენ ზურაბ ავალიანი, მისი 2 მეგობარი და მძღოლი რამდენიმე ნიღბიანი მოულოდნელად შეიჭრა, მძინარე ავალიანი და მისი მეგობრები პირდაღმა დაყარეს იატაკზე და სახლში გადაადგილება დაიწყეს. ადვოკატის განცხადებით, ავალიანმა მოასწრო დაენახა, როგორ დაიდო მისი საწოლის ქვეშ რაღაც საგანი და მოითხოვა, სახლის ჩხრეკას და სხვა საგამოძიებო მოქმედებებს დასწრებოდა ადგილზე მისული მისი ადვოკატი, მაგრამ მას ამის საშუალება არ მისცეს.

არჩილ ჩოფიკაშვილის განცხადებით, ავალიანის მეგობარი და მძღოლი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა სახლში, ადასტურებენ, რომ დაძინებამდე ავალიანის სახლში არავითარი ცეცხლსასროლი იარაღი და შავი ფერის ჩანთა არ ყოფილა. ავალიანის სახლიდან ამოღებულ იარაღზე არ აღმოჩნდა ზურაბ ავალიანის ხელის და სუნის კვალი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ თავად ყიფიანი ადასტურებს თავის ჩვენებაში, რომ ავალიანს იარაღის ყიდვის სურვილი არ გამოუთქვამს.

ადვოკატი აცხადებს, რომ როგორც ზურაბ ავალიანი ირწმუნება, მისი დაპატიმრება განხორციელდა პოლიტიკური ნიშნით. მას დაგეგმილი ჰქონდა ხელისუფლების საწინააღმდეგო მშვიდობიანი მიტინგის ორგანიზება და მისი დაპატიმრებით მოხდა ამ მიტინგის ჩაშლა.

### ცხინვალში "წითელი ჯვრის" ოფისი გაძარცვეს

ცხინვალში მდებარე საერთაშორისო "წითელი ჯვრის" ოფისი გაძარცვეს. ამ ინფორმაციას რუსულ მედია "წითელი ჯვრის" ოფისზე დაყრდნობით ავრცელებს.

"გუშინწინ, გვიან ღამით, დაახლოებით 01:30 საათზე შეიარაღებული ნიღბიანი პირები "წითელი ჯვრის" ოფისში შეიჭრნენ. მათ ოფისის დაცვის თანამშრომლებზე ფიზიკური ზემოქმედება განახორციელეს, რის შედეგადაც, ერთ-ერთმა თანამშრომელმა დაზიანება მიიღო. თავდამსხმელებმა საერთაშორისო წუთელი ჯვრის კუთვნილი ქონების ნაწილი დაიტაცეს და მიიმალნენ", - აცხადებენ "წითელი ჯვრის" პრესსამსახურში და აღნიშნავენ, რომ მიუხედავად ამ ინციდენტისა "წითელი ჯვრის" საერთაშორისო ორგანიზაცია ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებს თავისი ჰუმანიტარული მისიის შესრულებას. **ჯი-ეიჩ-ენი**

### წინასწარი პატიმრობა ნარკოტიკის შეძენა-შენახვისთვის

ლანჩხუთის პოლიციის სამმართველომ ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩიბათში მცხოვრები ელგუჯა ჯორბენაძე მეტსახელად "შადიმანი" დააკავა. სამართალდამცველების მტკიცებით, 46 წლის ელგუჯა ჯორბენაძეს, სახლის ჩხრეკისას 2 "ჩეკი" ჰეროინი (0,1242 გრ.) აღმოუჩინეს. ნარკოტიკების მოხმარებისთვის იგი სასამართლომ 500 ლარით დააჯარიმა, ხოლო ნარკოტიკის შეძენა-შენახვისთვის წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# აღიარებითი ჩვენება და "რესპუბლიკური პარტიის" შეფასება

*"პიარი მიდიოდა, რომ ვიღაცამ ვიღაც ცემა, ვიღაცამ ვიღაც დააყაჩაღა. ვიფიქრე, გამოვიყენებ-მეთქი ამ სიტუაციას და საკუთარ მანქანას, რომელსაც დაზღვევაც ჰქონდა, წავუკიდე ცეცხლი. მთავარი იყო, რომ გაპიარდებოდა ეს ყველაფერი," - ასეთი ჩვენება მისცა გამოძიებას "რესპუბლიკური პარტიის" წევრმა და "ალიანსი საქართველოსთვის" ყვარლის რაიონული შტაბის უფროსმა ვანო ლომიძემ, რომელიც, შესაძლოა, ცრუ დასმენის ბრალდებით დააკავონ.*

ხათუნა გიგაური

საქმე ისაა, რომ ორი დღის წინ, ვანო ლომიძე, ისევე, როგორც მისი თანაპარტიელები, ირწმუნებოდა, რომ 28 აპრილს, გვიან ღამით, ყვარელში, მას უცნობი ნიღბიანი პირები დაესხნენ თავს, "ტოიოტა პრადოს" მარკის ავტომობილი დაუწვეს, თვითონ კი, ხრამში გადააგდეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში ფაქტთან დაკავშირებით მაშინვე გამოძიება დაიწყო. სამართალდამცველების ინფორმაციით, ექსპერტ-კრიმინალისტების მიერ ვანო ლომიძის დამწვარი ავტომანქანის და მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერებისას აღმოაჩინეს 2-ლიტრიანი ბოთლი.

**"ბოთლის ექსპერტიზის ჩატარებისას დადგინდა, რომ მასში მოთავსებული იყო ნავთობპროდუქტი, კერძოდ, ბენზინი. კრიმინალისტიკურმა სამსახურმა აღნიშნული ბოთლიდან ამოიღო ანაბეჭდი, რომელიც იდენტურია ვანო ლომიძის ანაბეჭდთან. გამოძიების მიერ ასევე დადგენილია, რომ ვანო ლომიძეს კუთვნილი ავტომანქანა დაზღვეული ჰქონდა სადაზღვეო კომპანია "ალდაგი ბისიაიში,"** - ასეთი გახლდათ შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებისას დადგინდა, რომ ლომიძემ ავტომობილი თავად დაწვა.

ამავე ინფორმაციის თანახმად, საქმეში ფიგურირებს მოწმე, რომლის ჩვენების საფუძველზეც გაირკვა, რომ ვანო ლომიძემ 27 აპრილს, 23:00 საათიდან 23:30 წუთამდე მოწმისგან შეიძინა ბოთლით 2 ლიტრის ოდენობის ბენზინი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუშინ ვანო ლომიძის აღიარებითი ჩვენება გაავრცელა.

ვანო ლომიძემ გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებაში ჩადენილი დანაშაული აღიარა.

"რესპუბლიკური პარტია" ეჭვქვეშ აყენებს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებას პარტიის წევრის ვანო ლომიძის მიერ ჩადენილი დანაშაულის აღიარების თაობაზე.

**"ჩვენ ამ ტიპის უამრავი "აღიარება" მოგვისმენია, მოგვიანებით კი გარკვეულა, რომ საქმის არსი სრულიად განსხვავებულია,"** - აცხადებს პარტიის ერთ-ერთმა ლიდერი თამარ ხიდაშელი.

მისივე განმარტებით, ვანო ლომიძე 8 საათის განმავლობაში ადვოკატის გარეშე იმყოფებოდა.

**"ამ ხნის განმავლობაში მისი ადგილსამყოფელი გაურკვეველი იყო. მხოლოდ ღამის 3 საათზე გაირკვა, რომ ლომიძე თელავის პოლიციის სამმართველოში იმყოფებოდა,"** - აცხადებს თინა ხიდაშელი.

"რესპუბლიკური პარტიის" წევრი სოფო ხორგუანი შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მისი პარტიის წევრმა ვანო ლომიძემ ჩადენილი დანაშაული აღიარა, **"ვანო მერაბიშვილის მიერ დადგმულ სპექტაკლს"** უწოდებს.

**"ვანო მერაბიშვილი და შს სამინისტრო საქართველოში არა დანაშაულთან ბრძოლით, არამედ სპექტაკლების დადგმით არიან დაკავებული. ასეთი აღიარებითი ჩვენება ბევრი გვინახავს, მაგრამ ისინი მართალი არ აღმოჩნდა. მერაბიშვილის მიერ დადგმული სპექტაკლები აღარავის უკვირს,"** - განაცხადა სოფო ხორგუანმა.

"ალიანსი საქართველოსთვის" ერთ-ერთ ლიდერის, "რესპუბლიკური პარტიის" თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის განცხადებით, ვანო ლომიძის აღიარებითმა ჩვენებამ მას ბოლო წლების განმავლობაში მოსმენილი აღიარებითი ჩვენებები გაახსენა.

**"ამ ჩვენებამ გამახსენა სხვა აღიარებითი ჩვენებები, რომელიც მოგვისმენია ბოლო წლების განმავლობაში. ვანო ლომიძე 8 საათის განმავლობაში იყო წაყვანილი სადღაც ისე, რომ მას გვერდით არ ჰყავდა ადვოკატი. მხოლოდ დღეს, დილის 05:00 საათზე, სახალხო დამცველის წარმომადგენლის ჩარევით გახდა შესაძლებელი მისი ადგილსამყოფელის დადგენა და მერე გავიგეთ, რომ აღიარებითი ჩვენება მიუცია. მოხდა თუ არა მასზე ზეწოლა, ვერ დავკონკრეტდები, მაგრამ ის ფაქტი, რომ ადამიანს, რომელსაც საკუთარი მანქანის დაწვა უნდა, ბენზინის ბოთლს შემთხვევის ადგილზე ტოვებს, თავად მეტყველებს ყველაფერზე,"** - ასეთ შეფასებას აძლევს დავით უსუფაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული აღიარებით ჩვენებას.

# თანამშრომლობა გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან

*საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო და გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი დევნილებისა და ლტოლვილების რეგისტრაციის საკითხზე თანამშრომლობას აგრძელებენ.*

იძულებით გადაადგილებული პირების რეგისტრაციისა და შემცვლელი დოკუმენტების გაცემის პროექტს გუშინ ხელი სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი ვაშაძემ და გაერო-ს ლტოლვითა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლის მოადგილე კრისტოფ ბიერვირტმა მოაწერეს.

ხელშეკრულება იძულებით გადაადგილებულ პირთა საინფორმაციო ბაზის სრულყოფას და შესაბამისი პროგრამის დახვეწას, დოკუმენტაციის არმქონე დევნილთათვის დროებით საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გაცემას და საჭიროების შემთხვევაში, მათთვის იურიდიული ფაქტების დადგენას ითვალისწინებს.

პროექტის საერთო ღირებულება 1 800 000 ლარს შეადგენს და იგი ცხრა თვეზეა გათვლილი. პროექტის ფარგლებში მინიმუმ 50 ადამიანი დასაქმდება. მათგან შეიქმნება მობილური ჯგუფები, რომლებიც იმუშავებენ ბაზაში დაცული ინფორმაციის გადამოწმებაზე, დევნილთა დოკუმენტებით უზრუნველყოფაზე, აღწერენ მათ საცხოვრებელ პირობებს და სხვა.

აღსანიშნავია, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა რეგისტრაციასა და მონაცემთა ბაზის განახლებაში სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ყველა ტერიტორიული სამსახური ჩაერთვება.

იძულებით გადაადგილებულ პირთა ბაზა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებისათვის იქნება ხელმისაწვდომი.

**"ახალი პროექტის ფარგლებში სამოქალაქო რეესტრის სააგენტო ერთ მილიონ დოლარს მიიღებს იმისთვის, რომ გაგრძელდეს დევნილთა რეგისტრაცია, გარემონტდეს ახმეტისა და ცხინვალის ტერიტორიული ოფისები. გარდა ამისა, ამავე პროექტის ფარგლებში სამართლებრივი დახმარების კუთხით დოკუმენტის არმქონე თითოეულ დევნილს გაეწევა დახმარება. მათ, ვისაც პირადობის ან დაბადების მოწმობა ესაჭიროება, ჩვენი იურისტები ადგილზე გაუწევენ სამართლებრივ დახმარებას და დოკუმენტაციის პრობლემას მოუგვარებენ",** - აცხადებს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი ვაშაძე.

კრისტოფ ბიერვირტის თქმით კი, ახალი პროექტით, დევნილებსა და ლტოლვილებს დოკუმენტების პრობლემა მოუგვარდებათ, რაც მათ უფრო მეტ უფლებებს მისცემს და კუთვნილი დახმარებების მიღებას გაუადვილებს.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ზაზა ბეგლარაშვილი და ნუკრი ერგემლიძე ბოდიშის მოხდას მოითხოვენ

*"სახალხო პატრულის" - გია კორკოტაშვილის და მისი მეგობრების მიერ რამდენიმე დღის წინ ნაცემი ზაზა ბეგლარაშვილი და ნუკრი ერგემლიძე საქმის გარკვევას და ბოდიშის მოხდას მოითხოვენ.*

მათ გუშინ სახალხო დამცველის ოფისის ეზოში პრესკონფერენცია გამართეს და განაცხადეს, რომ მათი მხრიდან არანაირ პროვოკაციას ადგილი არ ჰქონია. ზაზა ბეგლარაშვილი და ნუკრი ერგემლიძე სახალხო დამცველისაგან საქმის გამოძიებას და სიმართლის დადგენის შემდეგ "სახალხო პატრულის" წევრებისაგან ბოდიშის მოხდას მოითხოვენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 26 აპრილს, ღამის პირველ საათზე 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობიდან სამინისტროს თანამშრომელმა ქუჩაში მომხდარი ინციდენტი დააფიქსირა. ვიდეოჩანაწერში ჩანს, როგორ დაესხა თავს იქვე მცხოვრებ ორ მამაკაცსა და მათ თანმხლებ ქალბატონს პირთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ბიძინა გეგიძე, გია კორკოტაშვილი, გიგა ბუკია და მათი თანხმლები პირები. თავდასხმის შედეგად ორმა მოქალაქემ სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო. თავდასხმელებმა მათ საფულეები წაართვეს, საიდანაც ფული და პირადი საბუთები მოიპარეს.

თავად კორკოტაშვილმა აღნიშნული პირები პროვოკაციაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ ეს ინციდენტი ხელისუფლების მიერ დადგმული სპექტაკლი იყო.

# ობამას ასი დღე: შეჩერდება თუ არა "გადატვირთვა"

29 აპრილს ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დაწყებიდან ასი დღე შესრულდა. ფრანკლინ რუზველტის პრეზიდენტობიდან მოყოლებული, ეს ამერიკის ლიდერის საქმიანობის პირველი შედეგების შეჯამების დროა.

რუსეთის პრეზიდენტ მედვედევისგან განსხვავებით, რომელიც აქცენტს კურსის მემკვიდრეობითობაზე აკეთებს, ობამამ თავიდანვე განაცხადა, რომ იგი ცხოვრების ყველა სფეროში ახალ მიდგომებს უჭერს მხარს. რუსეთთან მიმართებაში ობამას ადმინისტრაციამ ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენის პირით "გადატვირთვის" პოლიტიკა გამოაცხადა. ეს სიტყვა უცბად დამკვიდრდა პოლიტიკურ ლექსიკონში, როგორც თავის დროზე - "განტვირთვა".

ამას თითქოს დადებითად უნდა ემოქმედა რუსეთის თავმოყვარეობაზე - ბოლოს და ბოლოს, შერიგებისკენ პირველი ნაბიჯი ვაშინგტონმა გადადგა. თუმცა მოსკოვის რეაქცია საკმაოდ ცივი იყო.

თეთრი სახლის პატრონისთვის რუსეთთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ დღეს ეს მისთვის მთავარი პრობლემა არ არის. ის, პირველ რიგში, ეკონომიკურ კრიზისს ებრძვის, ხოლო საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტებს ავღანეთი, ირანი, ერაყი და ჩრდილოეთ კორეა წარმოადგენენ. რუსეთისთვის კი ამერიკასთან ურთიერთობას ბევრად დიდი მნიშვნელობა აქვს. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ადამიანები, შემდეგ კი რუსები ამერიკასთან შეჯიბრებაში საკუთარი ქვეყნის არსებობის ლამის მთავარ აზრს ხედავდნენ. როცა 90-იან წლებში ამაზე უარის თქმა სცადეს, პოლიტიკური ელიტის ნაწილიც და რიგითი მოქალაქეებიც, ფაქტობრივად, იტანჯებოდნენ "ნათელი სტრატეგიისა" და "ეროვნული იდეის" უქონლობის გამო. ბოლო 5-6 წლის მოვლენებმა და განსაკუთრებით პუტინის ცნობილმა "მიუნხენის სიტყვამ" 2007 წლის თებერვალში, ამ ხალხს ჰარმონიის დაკარგული გრძნობა დაუბრუნა. კრემლმა ცხადად მიანიშნა, რომ რუსეთი და შეერთებული შტატები მეგობრები და მოკავშირეები არ არიან და მოსკოვს სურს, იყოს არა ამერიკის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული "მსოფლიო თანამეგობრობის" წევრი, არამედ მისი საპირწონე, თან იმავე სიდიდის. უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვებით, რუსეთის მოსახლეობის ორი მესამედი ამ მიდგომას იზიარებს.


AFP ' 2009

### თავშეკავებული ოპტიმიზმი

ობამას არჩევა რუსეთში, მთლიანობაში, დადებითად აღიქვეს. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროიდან მოსკოვში ყოველთვის უხაროდათ ვაშინგტონის ადმინისტრაციის შეცვლა და ახალი პრეზიდენტისგან "რეალიზმს" ელოდნენ, რაშიც ცალმხრივ დათმობებს გულისხმობდნენ. უნდა ვაღიაროთ, რომ ვაშინგტონშიც მსგავსი ილუზიები არანაკლებად არის გავრცელებული. ამერიკელი ექსპერტები ამას სასურველის რეალობად გასაღების ბუნებრივი ადამიანური მისწრაფებით ხსნიან.

ობამას შემთხვევაში საქმე ასე ცალსახად არ არის. მისი ნაბიჯებიდან და განცხადებებიდან გამომდინარე, წინამორბედისგან განსხვავებით, ნამდვილად განწყობილია, რომ ნაკლებად დაეყრდნოს ძალას და მეტად გაითვალისწინოს სხვა ქვეყნების აზრი. ცოტა ხნის წინ ის მიხეილ გორბაჩოვსაც შეადარეს. მხედველობაში ჰქონდათ ამ უკანასკნელის მიერ გამოცხადებული "ახალი აზროვნების" პოლიტიკა. მაგრამ არანაირი ნიშნები არ არის იმის სათქმელად, რომ ობამა მზად არის, ხელი აიღოს ამერიკულ ფასეულობებზე ან ამერიკის წამყვან როლზე მსოფლიოში. ანუ საქმე გვაქვს არა მიზნების, არამედ მათი მიღწევის მეთოდების შეცვლაზე. ექსპერტები ჯერ კიდევ არჩევნებამდე აცხადებდნენ, რომ ობამა სუსტი არ არის.

რუსეთის უმაღლესი წარმომადგენლები ობამას პრეზიდენტობის პირობებში ამერიკასთან ურთიერთობების შესახებ საკმაოდ თავშეკავებული ოპტიმიზმით საუბრობენ. "იმედი მაქვს, რომ საოცარი ტერმინი "გადატვირთვა" შეძლებს, ასახოს იმ ცვლილებების არსი, რისი მიღებაც ჩვენ გვინდა," - განაცხადა დმიტრი მედვედევმა მარტში ჰენრი კისინჯერთან შეხვედრისას. ობამას და მედვედევის შეხვედრის შემდეგ ასევე ფრთხილი განცხადება გააკეთა საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა "...იმედი გვაქვს, რომ ამჯერად ყველაფერი მხოლოდ კარგი პირადი ურთიერთობით არ შემოიფარგლება," ჯერჯერობით ეს ოფიციალური პოზიციაა, ასი დღე ძალიან ცოტაა ახალი მიდგომის ჩამოსაყალიბებლად. ობამა მოსკოვში საჯაროდ, ბუშისგან განსხვავებით, არ გაულანძღავთ. თუმცა უფრო დაბალი რანგის ჩინოვნიკების კომენტარებში უკვე იგრძნობა გაღიზიანება იმის გამო, რომ ობამა ძველი მიზნების "რბილი დიპლომატიის" საშუალებით განხორციელებას ცდილობს. ამ ბოლო დროს მსგავსი შინაარსის სტატიების გამოქვეყნება გახშირდა. მაგალითად, ანალიტიკოსი ალექსეი პუშკოვი, რომელიც რუსი ძალოვანების რუპორად მიიჩნევა, ობამას ბირთვული განიარაღების მოწოდებას "აბსოლუტურად განუხორციელებელ ინიციატივას" და "ეფექტურ კვამლის ფარდას" უწოდებს.

როგორც საბჭოთა კავშირის დროს, ახლაც რუსეთისა და ამერიკის ურთიერთობებში წინა პლანზე გამოვიდა სტრატეგიული შეიარაღების კონტროლის პრობლემა. რუსეთი ამერიკას ისევ პოტენციურ მოწინააღმდეგედ განიხილავს. ბუშის მმართველობის ბოლო წლებში სწორედ მოსკოვი ახსენებდა ამერიკას ახალი ხელშეკრულების ხელმოწერის აუცილებლობას "სტრატეგიული შეტევითი შეიარაღება 2"-ის მაგივრად, რომელსაც ვადა 2009 წელს გასდის. როცა ცოტა ხნის წინ ლონდონში ობამა და მედვედევი შეთანხმდნენ, სასწრაფოდ დაეწყოთ ამ თემაზე მოლაპარაკებები, მოსკოვში უკანდახევის პირველი ნიშნები გამოჩნდა. რუსეთის დუმაში ახალი ბირთვული გამოცდების შესახებ ალაპარაკდნენ. რუსი ჩინოვნიკების ნაწილი მოლაპარაკებების წარმატებით გაგრძელების (და არა დამთავრების) წინაპირობად ამერიკის მიერ ეროვნული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ყველა ახალი სტრუქტურის ფიზიკურ ლიკვიდაციას და ევროპაში ამერიკის სამხედრო ყოფნაზე უარის თქმას ასახელებს (?!). რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების კომენტარებშიც ნათლად ჩანს, რომ "ბირთვული შეიარაღების რადიკალურ შემცირებაზე საუბრის საფუძველი არ არესებობს". ამერიკას დიდი უპირატესობა აქვს ჩვეულებრივი შეიარაღების რაოდენობასა და ხარისხში, რუსეთს კი, ბირთვული შეიარაღების გარდა, დასაპირისპირებელი არაფერი აქვს, რომ მსოფლიოში თავისი განსაკუთრებული სტატუსი გაამართლოს. 500-600 საბრძოლო მუხტამდე მათი შემცირებიის შემთხვევაში კი ამერიკელებმა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ტექნოლოგიური სიახლეების საშუალებით ეს არსენალი შეიძლება გააუფასურონ.

### პოსტსაბჭოთა სივრცე

დაპირისპირების კიდევ ერთი სერიოზული სფეროა ე.წ. პოსტსაბჭოთა სივრცე, პირველ რიგში კი - საქართველოს საკითხი. ამ საკითხში პოზიციების დაახლოების არანაირი პერსპექტივა არ ჩანს. მოსკოვს აღიზიანებს ნატო-ს მანევრები საქართველოში, ხოლო თვითონ სულაც არ "ეეჭვება", რომ "უფლება აქვს", მუდმივ რეჟიმში ჰყავდეს ჯარები აფხაზეთსა და "სამხრეთ ოსეთში". ვაშინგტონს აღიზიანებს რუსეთის ურთიერთობა ირანთან და ვენესუელასთან, ხოლო მოსკოვი ამას თავის სუვერენულ უფლებას უწოდებს. რუსეთი იალტის და პოტსდამის სტილში პოსტსაბჭოთა სივრცის ცინიკურ გაყოფაზეც არ არის თანახმა, სხვა საქმეა, ამას ვინმე სთავაზობს თუ არა.

კიდევ ერთი სერიოზული წინააღმდეგობა ამ გზაზე რუსეთში არსებული შიდა დაპირისპირება და ის "ორხელისუფლებიანობაა", რაც, რბილად რომ ვთქვათ, სერიოზული გაუგებრობის საფუძველს წარმოადგენს.

*"ბი-ბი-სი"-ს მიხედვით*
*მოამზადა ივა შილაკაძემ*


## საერთაშორისო ურთიერთობების ასოციაცია

## სასწავლო პროგრამა

### "პოლიტიკისა და დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა"

საერთაშორისო ურთიერთობების ასოციაცია გიწვევთ სასწავლო პროგრამაში: "პოლიტიკისა და დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა." პროგრამა განკუთვნილია მათთვის, ვინც დაინტერესებულია საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკისა და საერთაშორისო უსაფრთხოების ანალიზის საფუძვლების შესწავლით; მათთვის, სურვილი აქვს განავითაროს უკვე არსებული ცოდნა ამ სფეროში.

პროგრამა შედგენილია იმდაგვარად, რომ სტუდენტებს მიიღონ თეორიული ცოდნა საგარეო პოლიტიკის საკითხებში და აგრეთვე განავითარონ ის მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები, რომლებიც საჭიროა არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკის ანალიზისათვის, არამედ მისი რეალიზაციისათვის. სასწავლო პროგრამის აქცენტი განაწილებულია საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძვლებისა და მიმდინარე დებატების უკეთ გასაცნობად. ამ მხრივ, სტუდენტები მიიღებენ, როგორც საბაზო ცოდნას, ასევე ინფორმაციას თანამედროვე მიდგომებისა და პოლიტიკური პრობლემატიკის შესახებ.

**ძირითადი თემები:** სტრატეგია და პოლიტიკა; უსაფრთხოების პოლიტიკა; პოლიტიკური მიზნები და სამხედრო ძალა; საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითადი პარადიგმები; პოლიტიკური რისკის შეფასება, ანალიზი და მენეჯმენტი; მსოფლიო დიპლომატიისა და პოლიტიკის განმსაზღვრელი მოვლენები; დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა; თანამედროვე დებატები საერთაშორისო ურთიერთობებში; დაზვერვა, როგორც პოლიტიკა, ორგანიზაცია და პროცესი; დაზვერვა და პოლიტიკა; ინფორმაცია და მისი წყაროები, ინფორმაციის ანალიზი.

### სტუდენტთა აღიარება და სტაჟირება

წარმატებულ კურსდამთავრებულებს გადაეცემათ საერთაშორისო ურთიერთობების ასოციაციის სერთიფიკატი. საუკეთესო კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ გაიარონ სტაჟირება ასოციაციაში, გაზეთ "24 საათში" და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში.

### პროგრამის ლოგისტიკა

ლექციები წარიმართება ქართულ ენაზე. საკითხავი მასალა მოწოდებული იქნება ინგლისურ ენაზე. ლექციები ჩატარდება კვირაში ოთხჯერ, საღამოს 6:30-9:00 საათებში. პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება ოთხი სრული სასწავლო კურსი, რომელთა ჯამური ხანგრძლივობა ორი თვეა. პროგრამის ღირებულებაა 600 ლარი. მისაღები ლიმიტია 25 სტუდენტი.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შევსებული აპლიკაცია (შეგიძლიათ შეავსოთ აქ: http://bmu.li/st4 ) **არა უგვიანეს 20 მაისისა.** სასწავლო პროგრამა დაიწყება **27 მაისს და დასრულდება 31 ივლისს.** დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: training@air.org.ge

# ღორის გრიპის პირველი მსხვერპლი აშშ-ში

მარიკა იაშვილი

ამერიკაში ღორის გრიპმა ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ექიმები ადასტურებენ, რომ H1N1 ტიპის ვირუსით ტექსასის შტატში 2 წლის ბავშვი გარდაიცვალა. როგორც აშშ-ს შესაბამის სამსახურებში აცხადებენ, ეს ვირუსის ეპიცენტრის - მექსიკის ფარგლებს გარეთ ადამიანის გარდაცვალების პირველი ფაქტია.

ოფიციალური ვაშინგტონი გარდაცვლილი ბავშვის შესახებ არავითარ ინფორმაციას არ ავრცელებს, თუმცა აცხადებს, რომ სასიკვდილო შედეგით, შესაძლოა ვირუსით დაავადების კიდევ რამდენიმე შემთხვევა დასრულდეს.

მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების შესაბამისად, ამჟამად აშშ-ში ღორის გრიპით დაავადებულთა ყველაზე დიდი რაოდენობაა რეგისტრირებული - 64 ადამიანი. ეს ციფრი მექსიკის ანალოგიურ მაჩვენებელს თითქმის 2.5-ჯერ აჭარბებს.

კალიფორნიაში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული. ქვეყნის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ კონგრესს ვირუსის გავრცელებასთან ბრძოლისთვის დამატებით 1.5 მილიარდი აშშ დოლარის გამოყოფის თხოვნით მიმართა.

ეს მონაცემები მას შემდეგ გამოქვეყნდა, რაც მექსიკის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ღორის გრიპით გარდაცვლილთა რაოდენობა მცირდება. პირველადი მონაცემებით, ვირუსმა 159 ადამიანი იმსხვერპლა, თუმცა ლაბორატორიული დასკვნების შემდეგ ეს ციფრი შეიცვალა.

მექსიკის ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, ქვეყანაში ჯერჯერობით ღორის გრიპით ადამიანის დაავადების 26 შემთხვევა დადასტურდა. ჯანდაცვის მინისტრ ხოსე ანხელ კორდოვას განცხადებით, ოფიციალურად გრიპით გარდაცვალების მხოლოდ 7 ფაქტია დადასტურებული, ხოლო დანარჩენი 152 ადამიანი პნევმონიით გარდაიცვალა. ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ არის 1300 ადამიანი, რომლებსაც ღორის გრიპის მსგავსი სიმპტომები აქვთ.

ვირუსი H1N1 ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს, რადგან სწრაფი გენეტიკური ცვლილების უნარით გამოირჩევა. დაავადებულებს სიცხე უწევთ, ხველება, სურდო და კუნთების ტკივილი ეწყებათ, ზოგიერთ შემთხვევაში კი პირღებინება და დიარეაც შეინიშნება.

ამჟამად მსოფლიოში ღორის გირპის 105 შემთხვევაა დაფიქსირებული. 27 აპრილს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ პანდემიის საფრთხის მაჩვენებელი მესამე დონიდან მეოთხე დონემდე აწია.

ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე, აშშ-სა და მექსიკის გარდა, 6 დაავადებული კანადაშია რეგისტრირებული.

ევროპაში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ღორის გრიპით დაავადების ორ შემთხვევას - ესპანეთში, ხოლო ხუთს დიდ ბრიტანეთში


AFP ' 2009

ადასტურებს. როგორც ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა გორდონ ბრაუნმა თემთა პალატაში გამართული კითხვა-პასუხის დროს განაცხადა, გრიპის ეს ახალი სახეობა დევონშირის საგრაფოში 12 წლის გოგონას აღმოაჩნდა. სკოლა, რომელშიც გოგონა სწავლობს, დახურულია, ხოლო მოსწავლეებს ვირუსის საწინააღმდეგო პრეპარატის მიღება შესთავაზეს.

დაავადებულთა შორის არის ორი ადამიანი ბირმინჰემიდან. ცოტა უფრო ადრე ღორის გრიპით შოტლანდიელი ცოლ-ქმარი დაავადდა, რომლებიც გასულ კვირას მექსიკიდან დაბრუნდნენ. ამჟამად ისინი მკურნალობის კურსს გადიან და, როგორც პრემიერ-მინისტრი აცხადებს, მკურნალობას კარგად ექვემდებარებიან. **"ყველა მათგანს დაავადების მსუბუქი ფორმა აქვს და მკურნალობა შველით,"** - აცხადებს გორდონ ბრაუნი.

ღორის გრიპის შემთხვევა დადასტურდა გერმანიაშიც, ამის შესახებ ბავარიის ჯანდაცვის მინისტრმა განაცხადა. სამი ადამიანია დაავადებული ახალ ზელანდიაში, ხოლო ორი - ისრაელში. დაავადების მომავალი გავრცელების სავარაუდო არეალში შედის ავსტრალია, სამხრეთ კორეა და პერუ.

ფინეთის საავადმყოფოში, სავარაუდოდ, ღორის გრიპის დიაგნოზით ერთი ადამიანი მოხვდა. ფინური საინფორმაციო სააგენტო იუწყება, რომ შემთხვევა ქალაქ ლაჰტში, ჰელსინკიდან 100 კილომეტრში დაფიქსირდა.

ჰოსპიტალიზირებული ადამიანი ტურისტია, რომელმაც მექსიკიდან დაბრუნების შემდეგ თავი ცუდად იგრძნო. ექიმების განაცხადებით, ავადმყოფის მდგომარეობა მძიმეა. მისი დიაგნოზი ჯერ საბოლოო არ არის, თუმცა მიუხედავად ამისა, პაციენტი კარანტინშია მოთავსებული. ექიმები მის მდგომარეობას ყურადღებით იკვლევენ და აცხადებენ, რომ დიაგნოზს კვირის განმავლობაში დასვამენ.

# ფხენიანის ახალი მუქარა

მარიკა იაშვილი

ჩრდილოეთ კორეა ახალი ბირთვული გამოცდის ჩატარებითა და კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების გაშვებით იმუქრება. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ გაერო-ს უშიშროების საბჭო ბოდიშს არ მოიხდის იმ კრიტიკის გამო, რომელიც ოფიციალური ფხენიანის მისამართით 5 აპრილს ბალისტიკური რაკეტის გაშვების შემდეგ გამოთქვა, - აღნიშნულია ჩრდილოეთ კროეის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

**"თუ გაერო-ს უშიშროების საბჭო ბოდიშს არ მოიხდის, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით, თავდაცვისა და რესპუბლიკის უმაღლესი ინტერესების დასაცავად დამატებითი ზომები მივიღოთ,"** - აცხადებენ ჩრდილოეთ კორეის საგარეო უწყებაში.


AFP ' 2009

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ფხენიანი ბირთვული პროგრამის განახლებაზე ლაპარაკობს. შაბათს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოფიციალური ფხენიანი იონბიონში - ატომური კვლევების ცენტრში ბირთვული საწვავის გადამუშავებას აპირებს.

ამ განცხადებებზე დაყრდნობით, სამხრეთ კორეის ხელისუფლება განმარტავს, რომ ფხენიანმა, ფაქტობრივად, დაადასტურა მზადყოფნა ურანის გამდიდრებისთვის, რომელიც ატომურ ელექტროსადგურებში საწვავის სახით გამოიყენება.

2009 წლის 5 აპრილს ჩრდილოეთ კორეამ სამნაწილიანი ბალისტიკური რაკეტა "ინხა-2" გამოსცადა. ფხენიანის ცენტრალურმა სატელეგრაფო სააგენტომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ რაკეტამ ორბიტაზე კავშირგაბმულობის ექსპერიმენტული ხელოვნური თანამგზავრი "კვანმენსონ-2" გაიყვანა.

ამერიკელმა და სამხრეთ კორეელმა სამხედროებმა უარყვეს ინფორმაცია თანამგზავრის წარმატებულ გაშვებაზე. აპარატის ორბიტაზე გასვლა არც კოსმოსის კონტროლის რუსულ სისტემას დაუდასტურებია. ამერიკის შეიარაღებული ძალების რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის თანამგზავრიდან მიღებული მონაცემების მიხედვით, რაკეტამ ჰავაის კუნძულების მიმართულებით 3846 კილომეტრი გაიფრინა და წყნარ ოკეანეში ჩავარდა.

ოფიციალური ფხენიანის ვერსიას რაკეტის გაშვების მშვიდობიანი მიზნების შესახებ, მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანამ უნდობლობა გამოუცხადა. აშშ, იაპონია, სამხრეთ კორეა და რამდენიმე სხვა ქვეყანა აცხადებდა, რომ ჩრდილოეთ კორეას რაკეტის გამოც-
და სამხედრო მიზნებითაც შეეძლო.

"ინხა-2" ბალისტიკური რაკეტის "ტეპხოდონ-2"-ის მოდიფიცირებული ვერსიაა, რომლის გამოყენებაც არა მხოლოდ მშვიდობიანი, არამედ სამხედრო მიზენებისთვისაც შეიძლება.

ჩრდილოეთ კორეის მიერ რაკეტის გაშვებამ გაერო-ს უშიშროების საბჭოში განხეთქილება გამოიწვია. აშშ-სა და იაპონიას მიაჩნდათ, რომ ფხენინმა ამ ქმედებით გაერო-ს მიერ 2006 წელს მიღებული 1718-ე რეზოლუცია დაარღივია, ხოლო რუსეთი და ჩინეთი აცხადებდნენ, რომ იმის მტკიცება, დაირღვა თუ არა ეს რეზოლუცია, შეუძლებელია, რადგან მასში კონკრეტულად არ არის აკრძალული ორბიტაზე თანამგზავრის გაყვანა.

გაერო-ს უშიშროების საბჭომ 1718-ე რეზოლუცია ფხენიანის მიერ 2006 წელს ბალისტიკური რაკეტის გამოცდის შემდეგ მიიღო. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ჩრდილოეთ კორეას რაიმე სახის ბირთვული გამოცდის ჩატარება ან რაკეტის გაშვება ეკრძალება.

სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

აუქციონი

2009 წლის 1 მაისიდან სსიპ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო"-ს აუქციონების განცხადებები გამოქვეყნდება გაზეთ "აუქციონში". გაზეთი გამოვა კვირაში ერთხელ და გავრცელდება საქართველოს მასშტაბით. მისი შეძენა შესაძლებელი იქნება საცალო რეალიზაციის ქსელში და გამოწერით.

# რევიუ




AFP ' 2009

*ნიუ იორკში ერთობ არასასიამოვნო გამოფენა გაიხსნა. თუმცა ამ გამოფენამ დამთვალიერებელს საკუთარი თავი რამდენიმე მხრიდან დაანახა. "მე ვარ ხელოვნება" - ასე დაარქვეს ექსპოზიცი-ას, რომელიც ძალიან ჩვეულებრივ ადამიანთა სხეულებს წარმოაჩენს ფოტოგრაფიით. სხეულები ოპერაციამდე, ოპერაციის შემდეგ, შრამებით და უკვე იდეალურ კონტურებად ქცეული. პლასტიკური ქირურგიის წყალობით თანამედროვე ადამიანმა დაიჯერა რომ "სხეულის განახლება" შემოქმედებითი აქტია.*

## მაქსიმოვას გარეშე

სოფო კილასონია

"ძაფები რომლებიც თაობებს აერთიანებენ შეუფასებელია. მით უფრო ჩვენს ხელოვნებაში, რომელშიც ოსტატობა ხელიდან ხელში, ფეხიდან ფეხში გადადის" - ეს სიტყვები ეკატერინე მაქსიმოვას ეკუთვნის, ადამიანს, რომელიც იყო ძაფი მეცხრამეტე და ოცდამეერთე საუკენეების საბალეტო ეპოქებს შორის გაბმული. მთელი თუ არა, ნახევარი მსოფლიოსთვის ლეგენდარულ ბალერინას დღეს დაკრძალავენ.

სწავლობდა ფოკინთან, ელიზაბეტ გერდტთან და გალინა ულანოვასთან. თავად აღზარდა ვარსკვლავებით დახუნძლული თაობები. ერთნაირად აღიარეს როგორც საბჭოთა კავშირში, ისე დასავლეთში.

თითქმის მინიატურული სხეულით, უნაზესი მოძრაობებითა და უზუსტესი ტექნიკით მან ჯერ ქორეოგრაფიულ სასწავლებელში, შემდეგ კი იური გრიგაროვიჩის საუკეთესო მოცეკვავეებს შორის დაიკავა განსაკუთრებული ადგილი. იყო ჭკვიანი მოცეკვავე და მსხიობი, რომელიც ბგერებს განიცდიდა ისე, როგორც არავინ სხვა მის თაობაში. სხვადასხვა მიზეზებით ხსნიდნენ მაქსიმოვას ღირსებებს. ზოგიერთი წინაპრებსაც "ადანაშაულებდა". მაგრამ სერგეი რახმანინოვისა და ფილოსოფოს გუსტავ შპეტის შთამომავალის ღირსება მხოლოდ გენებში როდი მდგომარეობდა... ასე რომ არ იყო მან მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით დაადასტურა. გამძლეობით, ნერვებით, ადამიანურობით, გულწრფელობით სცენასა და ცხოვრებაში.

ეკატერინა მაქსიმოვამ ჯერ იური გრიგაროვიჩის ბალეტის სახე შექმნა. მასზე იდგმებოდა "მაკნატუნა", "ქვის ყვავილი" და სხვა დანარჩენი. გამომდინარე იქიდან, რომ გრიგაროვიჩმა უკვე ძალიან დიდი ტრადიციების რუსულ ბალეტს საკუთარი დრამატული ბალეტებით თავისივე ეპოქა დააშენა, მაქსიმოვაც ამ ახალი რუსული ბალეტის სიმბოლოდ იქცა. მან თავის თავში გააერთიანა ის სიახლე, რომელიც გრიგაროვიჩის და მასთან ერთად სოლიკო ვირსალაძის ესთეტიკამ შემოიტანა სცენაზე. მაქსიმოვა ამ "ახალი რუსული ბალეტით" შტატებშიც აღიარეს. არაჩვეულებრივი იყო კრიტიკა, რომელიც მთელს დასავლეთში გავრცელდა. მან ათეულობით ბალეტში იცეკვა, არაერთი კინოსახე შექმნა და ამავდროულად ურთულესი ტრამვები გადაიტანა. სწორედ ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ავადმყოფობის, უკვე ერთწლიანი მზადების შემდეგ დიდ თეატრში ბალეტომანებმა ერთმანეთს "მზის დაბრუნება" მიულოცეს და მაქსიმოვა ხელმეორედ და ბევრად ძლიერად შეიყვარეს.

მაქსიმოვასა და ვასილების ქორწინება იმაზე დიდი ლეგენდა გახდა, ვიდრე ბალერინას უსაზღვრო ნიჭი. ისინი ერთმანეთს ბავშვობიდან იცობდნენ და მთელი ცხოვრება ერთად გამოიარეს. მათ სიყვარულს არა მხოლოდ ბალეტები,



არამედ კინოფილმებიც მიეძღვნა. 1961 წელს საბჭოთა კავშირში გამოვიდა ფრანგების მიერ გადაღებული ფილმი "      — გახსნილი გულით". ამ ფილმში შეყვარებული წყვილი თავის თავს თამაშობდა. ფრანგებმა მათზე ლამაზი საბჭოთა რუსეთში ვერავინ და ვერაფერი იპოვნეს. ეს წყვილი ალბათ საბჭოთა კავშირიში ტოტალური ბედნიერების შესახებ არსებული სიმბოლოც იყო, მაგრამ ალბათ, ეს სიმბოლო მაინც იყო მიახლოებული სინამდვილესთან. 1972 წელს საფრანგეტის ბალეტის აკადემიამ მაქსიმოვასა და ვასილევის დუეტი "საუკეთესო დუეტად" აღიარა მსოფლიოში.

ამ წყვილს დიდ თეატრში დაწყებული ვნებათაღელვა და დაპირისპირებები არ შეხებია. მათ გაასწრეს. წავიდნენ იქ, სადაც ოქროს ტახტზე დასვეს - ევროპაში. მათ შესახებ იღებდნენ ფილმებს, მათ დღემდე აღმერთებენ. მაქსიმოვა სცენიდან წავიდა მაშინ, როცა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ლეგენდა მის შესახებ. ასე იქცევიან მხოლოდ გონიერი მსახიობები. წავიდა სცენიდან, მაგრამ არც ერთი დღე არ გაუტარებია ბალეტის გარეშე. რეპეტიციები, რეპეტიციები, რეპეტიციები...

დღეს კრიტიკა, რომელსაც მუდამ უჭირდა მისი გაკრიტიკება, წერს რომ ეკატერინა მაქსიმოვა, ლეგენდა რუსულ ბალეტში, არასდროს საუბრობდა თავის თავზე, როგორც დიდ მსახიობზე. ის იყო ჩაკეტილი, მოკრძლაებული, მაგრამ ძლიერი პიროვნება და მოცეკვავე და მეტად გულწრფელი და დამაჯერებელი სხენაზე.

დათო ტურაშვილის ხუთშაბათი



# გამოსავალი

გამოსავალი მაინც ყოველთვის არსებობს და მითუმეტეს საქართველოში, სადაც ადამიანების გულჩვილობას საზღვარი არა აქვს და ამიტომაც დარწმუნებული ვარ რომ სიმართლეს ალტერნატივა, უბრალოდ არ გააჩნია. როგორც ყოველთვის (ჩემის აზრით), გამოსავალი ახლაც გულწრფელობაა და სააკაშვილმა რომ გულწრფელად აღიაროს დაშვებული შეცდომები, ზუსტად ვიცი რომ მის მიმართ არსებული პროტესტი და აგრესია, თუ არ გაქრება, განახევრდება მაინც.

ხალხი მართლა ძალიან მიმტევებელია საქართველოში, თუ ოდნავ მაინც სინანულს შეგატყობს და ერთხელ მაინც თუ ბოდიში დაგცდება, მაგრამ შეცდომების აღიარება ჩვენც არ გვიყვარს და რა გასაკვირია რომ სააკაშვილსაც სძულდეს. თუმცა ჩვენ მხოლოდ საქართველოს რიგითი მოქალაქეები ვართ და ის კი პრეზიდენტია და შესაბამისად უფრო მეტიც მოეთხოვება, ვიდრე ნებისმიერ ჩვენთაგანს, ვისაც ბოდრუმში ან რომელიმე სხვა კურორტზე დასვენება სურს. სხვათა შორის მიხეილ სააკაშვილსაც აქვს დასვენების უფლება, მაგრამ მას ავიწყდება ხოლმე რომ პრეზიდენტი მთავარი საჯარო პირია ნებისმიერ ქვეყანაში და ყველაზე მეტად პასუხისმგებელიც ყველაფერზე, რაც ქვეყანაში ხდება, სწორედ ის არის. შეიძლება არც ავიწყდება, მაგრამ პრეზიდენტობის ტვირთისთვის მაინც იმდენად ახალგაზრდაა რომ გული მაინც ბოდრუმისკენ მიუწევს და პარლამენტის თავჯდომარეც სულ ამაოდ ცრუობს, რომ სააკაშვილი ბულგარეთიდან ბოდრუმში არ გაფრენილა.

ტყუილს ყოველთვის სიმართლე ჯობია და პარლამენტის თავმჯდომარემაც შარშან აგვისტოში სიმართლე უთხრა საქართველოს მოსახლეობას - ჩემი იმედი მაინცადამაინც ნუ გექნებათ და ჩანგლებით სდიეთ რუსეთის ორმოცდამეთვრამეტე არმიასო. ჩვენ, ქართველები, 1801 წლის 12 სექტემბრიდან მოყოლებული, სწორედ ამ უთანასწორო და უსამართლო ბრძოლაში ვართ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, მაგრამ მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ (უკანასკნელ წლებში) საყოველთაო შეიარაღებაში დახარჯული რამდენიმე მილიარდი მტკვარმა წაიღო.

ჩვენ კი სიმართლე არ გვიყვარს და ძალიან ხშირად უბრალოდ ვერ ვხვდებით რომ ერთადერთი გამოსავალი (ძალიან ხშირად), სწორედ გულწრფელობაა და ამას მაშინაც ვერ მივხვდით როცა ზუსტად ვიცოდით რომ სანდრო გირგვლიანი სვანურ გარჩევებს ნამდვილად არ შეეწირა, მაგრამ ერთი კვირის განმავლობაში მაინც ვატყუებდით საკუთარ ხალხს. მე კი მაინც გულუბრყვილოდ მეგონა რომ ერთი ადამიანი მაინც აღმოჩნდებოდა მაშინდელ ხელისუფლებაში, ვინც იტყოდა რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, რადგან ქართული სახელმწიფოს ინტერესები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თუნდაც გურამ დონაძის დასაქმება. მგონი ყველაზე მთავარი შეცდომაც სწორედ მაშინ დაუშვა ხელისუფლებამ და მერე იმ შეცდომას, სხვა შეცდომებიც მოჰყვა, თუმცა მე მაინც გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ და ახლაც მინდა რომ კეთილგონიერების მომხრე ვიყო.

ახლაც მინდა მჯეროდეს რომ ხელისუფლებაში ახლა მაინც აღმოჩნდება თუნდაც ერთი ადამიანი, ვინც წინ აღუდგება ძალადობას და ხმამაღლა იტყვის რომ ის, რაც ღამღამობით თბილისში ხდება, სამარცხვინო და მიუღებელია.

როცა განსხვავებულად მოაზროვნე მომიტინგეებს მიპარვით, სათითაოდ და უმოწყალოდ სცემენ, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ეს უფრო ცუდი შედეგის მომტანია ქვეყნისთვის, ვიდრე შარშანწინდელი 7 ნოემბრის დარბევა.

ზემოთქმულში ალბათ ბევრნი არც დამეთანხმებიან და ალბათ ამ მხრივაც უმცირესობაში ვარ, მაგრამ მაინც ჯიუტად მჯერა რომ გამოსავალი მაინც ყოველთვის არსებობს და ამიტომაც მაინც ვიმეორებ რომ სიმართლეს ალტერნატივა არ გააჩნია და გულწრფელობა კი მართლა საუკეთესო გამოსავალია...

**P.S. არადა როგორ მინდა, რომ სულ სხვა თემებზე ვწერო და როგორც სააკაშვილის ერთი კეთილისმსურველი ამბობს, თქვენც დაგასვენოთ და მეც დავისვენო.**

# XIX საუკუნის ქართველები, ნაპოლეონი და ...

## ანუ "საოჯახო ბიბლიოთეკის" გამოცემა დაწყებულია

ბელა ჩეკურიშვილი

"რაც უნდა შეჭირვებული ეკონომიკური ცხოვრება და პოლიტიკური ვნებათაღელვა იყოს ქვეყანაში, პური უნდა ცხვებოდეს და წიგნი უნდა გამოდიოდეს" - ამბობს ლიტერატურეს კრიტიკოსი, პროფესორი ზაზა აბზიანიძე და გამომცემლობა "ქართული ბიოგრაფიული ცენტრის" პროგრამას - "თვალსაწიერს" გვაცნობს. პროგრამის პირველი პროექტი "საოჯახო ბიბლიოთეკა" ქართველ მკითხველს გამოჩენილი მწერლების ბიოგრაფიული პროზისა და ცნობილი საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა ბიოგრაფიებისა და მემუარების 25 ტომეულის გამოცემას გულისხმობს. აქედან ორი ტომი უკვე დაისტამბა კიდეც.

პირველ ტომში, სახელწოდებით "მე-19 საუკუნის ქართველი მოღვაწენი" წარმოგდგენილია ალექსანდრე ორბელიანის, მარიამ ჯამბაკურ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას ავტობიოგრაფიული ნაწარმოებები. ტომს დართული აქვს ზაზა აბზიანიძის წინასიტყვაობა, რომელშიც თვალმიდევნებულია ამ ჟანრის ევოლუცია ქართულ მწერლობაში - როგორ გადადის სადღიურო ჩანაწერები ავტობიოგრაფიულ პროზაში.

მეორე ტომში - "ნაპოლეონი", ალექსანდრე დიუმას "ნაპოლეონის" გარდა (რომლის თარგმანიც ნანა თარგამაძეს ეკუთვნის), შესულია თვითონ ბონაპარტეს მემუარები - "ტულონის ალყა". ეს თარგმანი ქართულ ენაზე არსებობდა, მაგრამ რუსულიდან იყო თარგმნილი ძალიან მძიმე ენით. ახალ თარგმანზე იმუშავა ქეთი კვანტალიანმა, რომელმაც ასევე თარგმნა ერთი თავი ("დიდსულოვნება") არტურ ლევის წიგნიდან "ნაპოლეონის სულიერი თვისებები". ეს დანამატი ავსებს დიუმას ბიოგრაფიას და უფრო სრულ წარმოდგენას გვიქმნის ნაპოლეონის პიროვნებაზე.

როგორც ზაზა აბზიანიძემ გვითხრა, ამგვარი გამოცემის იდეა ერთი წლის წინ გაჩნდა, "ქართულ ბიოგრაფიულ ცენტრთან" შეთანხმდა. პერსპექტიული გეგმა და პირველი ნაბიჯები გადაიდგა, რაც ნიშნავდა მთარგმნელებთან მოლაპარაკებას, უცხოური გამომცემლობებიდან საავტორო უფლებების მოპოვებას და ა.შ.

**ზაზა აბზიანიძე:** "ავტორთა შერჩევაც და ზოგადად ამ ჟანრის ლიტერატურის გამოცემაც, ითვალისწინებდა ქართულ საგამომცემლო სივრცეში არსებული "თეთრი ლაქების" შევსებას. მიუხედავად ჩვენს ქვეყანაში არსებული პრობლემებისა, ბოლო წლებში ბევრი ახალი რამ ითარგმნა, თუმცა ზემოხსენებული "თეთრი ლაქები" მაინც არსებობს. მით უფრო, იმ ადამიანის თვალით, რომელიც პროფესიით ლიტერატურის კრიტიკოსია და 20 წლიანი პედაგოგიური სტაჟიც აქვს. მართალია, ჩვენთან არ ტარდება სოციალური გამოკვლევები მკითხველის მოთხოვნებთან დაკავშირებით და გამომცემლობები მეტწილად ინტუიციას ემყარებიან, მაგრამ მსოფლიო ტენდენციების გათვალისწინებით, ბოლო პერიოდში მძაფრი ინტერესია დოკუმენტური პროზის ჟანრისადმი, მემუარებისა და ავტობიოგრაფიული ნაწარმოებებისადმი. საქართველოც არ არის რაღაც იზოლირებული ანკლავი და მკითხველთა ინტერესების ასეთი ევოლუცია ჩვენთანაც შეიმჩნევა. აქედან გამომდინარე, ჩავთვალეთ, რომ სადღეისოდ საინტერესო იქნებოდა სწორედ მემუარული და ბიოგრაფიული ლიტერატურის გამოცემა. მათ შორის, ზოგიერთი ისეთი საკულტო წიგნია, (მაგალითად, მაჰათმა განდის "ჩემი ცხოვრება"), რომელიც ყველა ცივილიზებული ერის ენაზე უნდა იყოს ნათარგმნი. საქართველოს მართლა შეუძლია თვალი გაუსწოროს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას თავისი ათასწლოვანი კულტურით, მაგრამ ეს დღესაც ბევრს გვავალებს. იმასაც დავამატებ, დღევანდელი პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით მინდა გურამ დოჩანაშვილის ერთი გმირი გავიხსენო მისი კლასიკური მოთხრობიდან - "კაცი რომელსაც ლიტერატურა უყვარდა". აი ეს გმირი, კლიმი, დღეს, უთუოდ, ჩვენი პოლიტიკოსებისა და საჯარო მოხელეთათვის აუცილებელ საკითხავად გახდიდა ბევრ წიგნს აქ წარმოდგენილი 25 ტომეულიდან. მკითხველი ახალი თვალით შეხედავს და შეაფასებს იმ საბედისწერო ნაბიჯებს, რომელთაც განაპირობეს ისტორიულ პიროვნებათა და გამოჩენილ პოლიტიკოსთა წარმატება თუ მარცხი. ისევე, როგორც ჭადრაკში, ერთი პარტია ზუსტად არასოდეს არ იმეორებს მეორეს, მაგრამ სტანდარტული სიტუაციები არსებობს და ამას "საუკუნოვანი გამოცდილება" ქვია."

პროექტის მონაწილენი თარგმანის შერჩევის დროს ერთი პრობლემის წინაშე დადგნენ: ზოგიერთი ნაწარმოები მემუარისტიკის კლასიკური ნიმუშებიდან კიდეც იყო თარგმნილი, მაგრამ თარგმანი გარკვეულ პრეტენზიებს ბადებდა:. როცა მთარგმნელი ცოცხალი აღარ არის და რედაქტირება ვერ ხერხდება, ხელახლა ეთარგმნათ თუ იგივე გაემეორებინათ. გამეორებაც გარკვეული ფუფუნებაა, არა მარტო თანხობრივად, დრო და შესატყვისი მთარგმნელის მოძებნაც გასათვალისწინებელი იყო. ამიტომ გადაწყდა, თუ ტექსტი იძლევა რედაქტირების საშუალებას, ან თუ მემკვიდრე იძლევა ამის უფლებას, ძველი თარგმანები გამოეცათ. მაგალითად, ზაზა გაჩეჩეილაძეს ჰქონდა ნათარგმნი მოემის "შეჯამება". ავტორს სთხოვეს, ხელახლა მიუბრუნდეს სარედქციოდ, ვინაიდან ამ წლების მანძილზე ენა შეიცვალა, როგორც ცნობილია, სიტყვებიც ძველდება ხოლმე. კაზანოვას მემუარების ძველი თარგმანი არ გამოუყენებიათ, ეს ნაწარმოები ნანა თარგამაძემ ხელახლა თარგმნა. ასევე უკვე გამოცემული იყო ჰემინგუეის "განუყრელი დღესასწაული", ვახტანგ ჭილაძის შესანიშნავი თარგმანი, რომელიც ხელახლა გამოიცა და ამავე ტომში შევა ჰემინგუეის მეორე ავტობიოგრაფიული ნაწარმოები "ედემის ბაღი", რომელსაც თამარ ჯაფარიძე თარგმნის. ქართველი მკითხველისათავის ეს ნაწარმოები ნაკლებად ცნობილია, იგი მწერლის სიკვდილის შემდეგ გამოიცა.

ასევე ფიქრობენ გამოსცენ ჰენრი თორიუს "უოლდენი, ანუ ტყეში ცხოვრება", მასზე ახალგაზრდა მთარგმნელი ქეთი ქანთარია მუშაობს.

გამომცემლობის სურვილია ცალკე ტომად გამოვიდეს დავით კლდიაშვილის "მოგონებანი". საქართველოს ისტორიაში ესოდენ მღელვარე მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნა დავით კლდიაშვილმა ძალიან ცოცხლად და საინტერესოდ აღწერა.

"საოჯახო ბიბლიოთეკის" 25 ტომეულში შესული პოლიტიკოსთა ბიოგრაფიების ჩამონათვალი კი ასე გამოიყურება: ჩერჩილი, რიშელიე, ფრანკო, რუზველტი, ათათურქი, მაო ძედუნი, ტროცკი, ვაცლავ ჰაველი, დე გოლი... ნაწილი მათგანი უკვე ითარგმნება, ნაწილზე კი მოლაპარაკებები მიდის საავტორო უფლებების შეძენაზე. ლელა ებრალიძემ ქართულად უკვე თარგმნა ჰიტლერის პრეს-მდივნის ერნსტ ჰალფშტანგელის წიგნი, სადაც დიდი დიქტატორის პიროვნულ თვისებებზეა აქცენტები.

ზაზა აბზიანიძის თქმით, გამომცემლობას ტენდენცია აქვს, რომ წმინდა პოლიტიკური ბიოგრაფიები კი არა, უფრო პორტრეტული თხზულებები თარგმნონ და გამოსცენ. მაგალითად, ასეთივეა გაბრიელ ხოჯესის "ფრანკო", ამავე პრინციპით შეირჩევა ათათურქის ბიოგრაფიაც. იმედია, ჩვენი მეზობელი ქვეყნის ისეთი საკულტო ფიგურა, როგორიც ათათურქი იყო, ქართველ საზოგადოებას დააინტერესებს.

**ზაზა აბზიანიძე:** "ჩვენი პროექტის შეკვეთით მწერალი და ისტორიკოსი თამაზ ნატროშვილი ამზადებს ბიოგრაფიულ თხზულებას სტალინზე. დარწმუნებული ვარ, სტალინი ის ფენომენია, რომ საქართველოში გამოცემულ ბიოგრაფიების სერიაში მისი ბიოგრაფია სწორედ ქართველ ავტორა უნდა ეკუთვნოდეს. ტროცკისგან და ნაპოლეონისაგან განსხვავებით, სტალინს ავტობიოგრაფიული არაფერი დაუწერია, მაგრამ მასზე ასეულობით წიგნია დაწერილი. ჩავთვალეთ, რომ ნონსენსი იქნებოდა, ასეთ სერიაში უცხოელი ავტორის ნაწარმოები შეგვეტანა. ქართველებს უნდა გვქონდეს იმის გაბედულება, რომ სიმართლეს შევხედოთ თვალებში და ეს მსოფლიო ფიგურა 21-ე საუკუნის გადასახედიდან შევაფასოთ. ჩავთვალეთ, რომ ასეთ ამოცანას თამაზ ნატროშივილი დაძლევდა და სულმოუთქმელად ველოდებით მის წიგნს. დაგვპირდა, რომ წლის ბოლოსთვის დაამთავრებს.

ჩემი თაობა აქ ჩამოტვლილი წიგნების უმეტესობას რუსულ ენაზე კითხულობდა, მაგრამ მოვიდა ახალი თაობა და ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ მათი ინტერესები და ვეცადოთ, წიგნები, რომელიც მათ ასაკში ჩვენც დაგვაინტერესებდა, მათაც ჰქონდეთ ხელთ. ზოგადად კი, ენას არაფერი არ ავითარებს ისე, როგორც თარგმანი და საუკუნეების წინ მთაწმინდელების საქმიანობა ამის დასტურია."

საოჯახო ბიბლიოთეკის 25 ტომეულის გამოცემა 2 წელზეა გათვლილია და მისი შეძენა რუსთაველზე, "ლაღიძის წყლების" ეზოში მდებარე მაღაზია "საუნჯეში" იქნება შესაძლებელი, ხოლო "საქპრესას" ჯიხურების საშუალებით რაიონებშიც გავრცელდება.

ეს პროექტის პირველი ნაწილია, მაგრამ პროგრამა "თვალსაწიერის" სურვილია სამომავლოდ ქართველ მწერალთა, საზოგადო მოღვაწეთა და პოლიტიკოსთა ბიოგრაფიებისა და მემუარების სერიაც გამოიცეს.

შედგენილია და მალე გამოვა - "მე-20 საუკუნის ქართველი მოღვაწენი", რომელშიც შესულია გერონტი ქიქოძის, სიმონ ჩიქოვანის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის და სხვათა ავტობიოგრაფიული თხზულებები.



# "ხანუმა" მარჯანიშვილის სცენაზე ბრუნდება

თამარ კიკნაველიძე

*2 მაისიდან მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუარს ერთი სპექტაკლი შეემატება. სიახლესთან დაკავშირებით თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, რეჟისორ ლევან წულაძეს გავესაუბრეთ. ჩვენი დიალოგი დიდხანს არ გაგრძელებულა. რეჟისორი ამ სპექტაკლზე ბევრს ვეღარ საუბრობს. ეს წარმოდგენა მისთვის, როგორც შემოქმედისთვის, ნაკლებად საინტერესოა, რადგანაც ერთხელ ეს უკვე დადგა, ოღონდაც სხვა სცენაზე და სხვა ხანუმასთან ერთად. აბა, რატომ განაახლა? ალბათ იმიტომ, რომ ის, რაც იყო უკვე გუშინდელი დღეა, დღე რომელიც აშკარად ენატრება. და კიდევ იმიტომაც, რომ რეჟისორის თქმით, "ხანუმა" მაყურებელსაც მოენატრა.*



საქმე ეხება ავქსენტი ცაგარელის "ხანუმას", რომელიც ლევან წულაძემ 2004 წელს ვაკის თეატრალურ სარდაფში განახორციელა. რეჟისორი მაყურებელს ამ სპექტაკლის აღდგენილ ვერსიას სთავაზობს.

ლევან წულაძის სახელის ხსენებაზე, ასოციაციურად, დღემდე თეატრალური სარდაფი გვახსენდება. ეს სივრცე იმ დროს შეიქმნა (გასული საუკუნის 90-იანი წლები), როდესაც დიდი და წამყვანი თეატრები ძნელად ფუნქციონირებდნენ. ექსპერიმენტულ სივრცედ იქცა-თქო, ასე ვერ ვიტყვით, მაგრამ თეატრალურმა სარდაფმა თეატრს მაყურებელი შეუნარჩუნა, ის ახალგაზრდა შემოქმედთა თავშესაფარი გახდა. მაშინ ვერავინ იფიქრებდა თუ ლევან წულაძე მას ოდესმე შეელეოდა.

**- ბატონო ლევან, ხომ არ გაწუხებთ ნოსტალგია, რომელიც თეატრალურ სარდაფს უკავშირდება?**

- ნოსტალგია ნამდვილად მაქვს. ამის გამო, დაახლოებით, 5 თვის წინათ "ვეტერანები" შევიკრიბეთ და რუსთაველის სარდაფში "უჩინმაჩინის ქუდი" დავდგით. მხიარული სპექტაკლი გამოვიდა. მუშაობისას გაგვახსენდა წარსული, რომელიც ჩვენთვის ძვირფასია.

**- რეჟისორებს სპექტაკლების აღდგენა, როგორც წესი, არ უყვართ - მათთვის ეს განვლილი ეტაპია, ან ერთგვარი, გამოსავალი, ახალი სირთულეებისგან თავის დაღწევის იოლი ხერხი... თქვენ რატომ გადაწყვიტეთ "ხანუმას" აღდგენა?**

- რატომ? იცით, პირადად მე არ მინდოდა არც მისი აღდგენა და არც მარჯანიშვილის თეატრში გადმოტანა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს სპექტაკლი, მაყურებელთან ერთად, მსახიობებსაც განსაკუთრებით უყვართ და მის აღდგენას, თურმე, ელოდებოდნენ. აი, ამან განაპირობა "ხანუმას" გაცოცხლება.

**- და არა სათქმელმა?**

- "ხანუმა" არის ვოდევილი. მას სათქმელის აქტუალურობის თვალსაზრისით ვერ განვიხილავთ. ამ შემთხვევაში, ჩვენთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სენტიმენტალური დამოკიდებულება ძველი თბილისის მიმართ. ეს ქალაქი ხომ ისეთი მულტიკულტურული, როგორიც ადრე იყო, აღარასოდეს იქნება... მან თავისი განუმეორებელი კოლორიტი, ინტერნაციონალურობა XX საუკუნეში უკვე დაკარგა და ძალიან გადასხვაფერდა, შეიცვალა...

**- რამდენად საინტერესოა თქვენთვის ვოდევილი?**

- ვოდევილი ნაკლებად მაინტერესებს ხოლმე, მე უფრო კომედია მიყვარს და შესაბამისად, "ხანუმა" კომედია უფრო გამოვიდა, ვიდრე ვოდევილი...

რეჟისორისგან შევიტყვეთ, რომ თავდაპირველად ვაკის თეატრალურ სარდაფში განხორციელებული სპექტაკლი მარჯანიშვილის თეატრში, თითქმის, უცვლელი სახით გადმოვიდა. ერთადერთი, რაც შეიცვალა, ეს არის დეკორაცია, რომელიც ამ თეატრის სცენას მოერგო. აქ მნიშვნელოვანია კიდევ ერთი სიახლე, რომელიც მთავარი როლის შემსრულებელს უკავშირდება - მაყურებელს, რომელსაც ეს სპექტაკლი ნანახი აქვს, კარგად ახსოვს ნანა შონიას მიერ განსახიერებული ხანუმა. განახლებულ დადგმაში მას ეკა ნიჟარაძე შეცვლის, ირაკლი ჩოლოყაშვილს ნიკო კუჭავა ჩაანაცვლებს, ეპიზოდურ როლში კი სცენაზე ონისე ონიანსაც ვიხილავთ. სხვა დანარჩენი სპექტაკლში უცვლელია. ვატო კახიძის მუსიკის ფონზე, ცოცხლდება ძველი თბილისის სურათები, ხელშეუხებელია მაყურებლისთვის დასამახსოვრებელი - დუტა სხირტლაძისა და კახა აბუაშვილის დუეტი...

"თავიდან სპექტაკლში სიახლეების შეტანის სურვილი მქონდა, მაგრამ რეპეტიციებისას აღმოჩნდა, რომ მსახიობებს იმდენად კარგად ახსოვდათ ის, მისი შეცვლა, რაიმეს დამატება ან გადაკეთება აღარ გამოვიდა. როგორც ჩანს, "ხანუმა" მათში ცოცხლობდა", - გვითხრა რეჟისორმა.

# მელ გიბსონი ახალი სიყვარულით



ცნობილი რეჟისორი და მსახიობი მელ გიბსონი, ყოფილ მეუღლესთან საბოლოო განშორებიდან ორი კვირის შემდეგ, თავის ახალ შეყვარებულთან ერთად საზოგადოების წინაშე პირველად გამოჩნდა. მისი მორიგი სიყვარული 39 წლის მსახიობი და მომღერალი ოკსანა გრიგორიევაა. წყვილი ერთად ფილმის "ადამიანი იქსი. დასაწყისი. გაუმაძღარი" პრემიერაზე გამოჩნდა, სადაც გიბსონი კინოკომპანია FOX-ის ხელმძღვანელობამ და ახალ ფილმში მთავარი როლის შემსრულებელმა ჰიუ ჯეკმანმა დაპატიჟეს.

ოქსანა გრიგორიევა 1970 წელს სარანსკეში დაიბადა. დიდი ხნის განმავლობაში იგი სამოქალაქო ქორწინებაში იყო სხვა ცნობილ მსახიობთან - ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელ ტიმოთი დალტონთან. ჰყავს ვაჟი ალექსანდრა, რომელსაც თავად ზრდის. გიბსონი მან მსახიობის კუთვნილ სტუდია Icon Records-ში, სიმღერის ჩაწერის დროს გაიცნო. ადრე ცნობილი მსახიობის მეგობარ გოგოდ თავს სხვა რუსი მომღერალი, 24 წლის ოკსანა პოჩეპა აცხადებდა. გოგონა ამტკიცებდა, რომ "მათ ყველაფერი სერიოზულად ჰქონდათ", უბრალოდ გიბსონს არ სურდა ეს ურთიერთობა გაეხმაურებინა.

აღსანიშნავია, რომ აპრილის შუა რიცხვებში ცნობილი გახდა, რომ 28 წლიანი თანაცხოვრების შემდეგ გიბსონის ყოფილმა მეუღლემ განქორინების შესახებ შეიტანა განცხადება, რის მიზეზადაც "აუხსნელი უთანხმოება" დაასახელა.

მელ გიბსონი 1980 წელს დაქორწინდა. მათი შეხვედრა მაშინ მოხდა, როცა გიბსონი ჯერ კიდევ არავისთვის ცნობილი მსახიობი იყო, ხოლო მისი მომავალი მეუღლე რობინი ერთ-ერთ ავსტრალიურ კლინიკაში, სტომატოლოგის ასისტენტად მუშაობდა. მათ შვიდი შვილი ჰყავთ, რომელთაგანაც უმცროსს ცხრა წელი შეუსრულდა.

მელ გიბსონისმა ბოლო კინოროლი ითამაშა 2002 წელს გამოშვებულ ფილმში "ნიშნები", ხოლო მისი ბოლო სარეჟისორო ნამუშევარი ფილმი "აპოკალიპსია". მისი პრემიერა 2006 წელს გაიმართა.



## აფიშა

**30 აპრილი**

### თეატრი

**შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი**
ექსპერიმენტული სცენა
"სტუმარი"
რეჟისორი გოგა გორგოშაძე
დასაწყისი: 19.00

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**
"ART-ხელოვნება"
რეჟისორი თემურ ჩხეიძე
დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი**
"მე ვხედავ მზეს"
რეჟისორი გოგი ქავთარაძე
დასაწყისი: 20.00

**თეატრი სხვენში**
"ქალი ძაღლით"
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 20.00

**თეატრალური სარდაფი**
"სიყვარული, ნარკოტიკი და ..."
დასაწყისი: 20.00

**თავისუფალი თეატრი**
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი დავით დოიაშვილი
დასაწყისი: 19.00

**თეატრი "ვერიკო"**
მურმან ჯინორიას სპექტაკლი
"და სიმღერით ვკვდები"
დასაწყისი: 18.00

### კინო

**"რუსთაველი"**
"დესპეროს თავგადასავალი"
დასაწყისი: 15.00; 16.45; 19.30;
"მადაგასკარი 2"
დასაწყისი: 14.00; 15.45; 17.30;
"მილიონერი გარეუბნიდან"
დასაწყისი: 14.30; 17.00; 19.30; 22.15
"სხეულის გარეშე"
დასაწყისი: 18.15; 20.15; 22.15
"ცვლილება"
დასაწყისი: 21.30

**"ამირანი"**
"თქვი დიახ"
დასაწყისი: 30.30; 14.45; 18.00; 20.15; 22.15
"ნიკი და ნორა"
დასაწყისი: 20.00
"ზღაპრები ძილის წინ"
დასაწყისი: 14.00; 16.00; 18.00;
"სხვა სამყარო - 3"
დასაწყისი: 22.00

**"საქართველო"**
"მადაგასკარი"
დასაწყისი: 13.00; 15.00
"სხვა სამყარო"
დასაწყისი: 19.00; 21.00
"სხეულის გარეშე"
დასაწყისი: 17:00

### გამოფენები

**თიბისი გალერეა**
გოგი ლაზარაშვილის პერსონალური გამოფენა

**"აკადემია +"**
დავით ჩიხლაძის პერფორმანსის თეატრი

**თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**
იტალიის საელჩო გიწვევთ გამოფენაზე - "იტალიური სტილი".

**"ვერნისაჟი"**
ზაალ ბაჩანაშვილის პერსონალური გამოფენა

### წმინდა პანტელეიმონის ხატი ახალ ათონში დაბრუნდება

1896 წელს დაწერილი "წმინდა პანტელეიმონ მკურნალის" ხატი, რომელიც სპეციალურად ნიკოლოზ II-ის მეფედ კურთხევის დღისთვისაა დაწერილი აფხაზეთში, ახალ ათონში მდებარე სვიმონ კანანელის სახელობის მონასტერში დაბრუნდება.

ეს ხატი საბჭოთა რეჟიმის დროს დაიკარგა და ახლახან იპოვეს. ხატის ნამდვილობა ექსპერტების მიერ უკვე დადასრურებულია. რუსული მედია ასევე იუწყება, რომ 18 მაისს "ხატი რუსეთის დუმის ერთ-ერთი დეპუტატის ძალისხმევით, აფხაზურ მონასტერს დაუბრუნდება". აღსანიშნავია, რომ ხატი 1896 წელს ათონის მთაზეა დაწერილი. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საქართველო ჩინეთში დაგეგმილ ტურისტურ გამოფენაში მონაწილეობას მიიღებს

1 მაისიდან 31 ოქ-ტომბრის ჩათვლით, ჩინეთში, ქალაქ შანხაიში ტურისტული გამოფენა "EXPO 2010" გაიმართება. საქართველო, აღნიშნულ გამოფენაზე, 100 მ2 სტენდით, ევროპის საგამოფენო პავილიონში იქნება წარმოდ-გენილი - აზერბაიჯანთან, ბულგარეთთან, სომხეთთან, მაკედონიასთან, მონტენეგროსთან და სხვა ქვეყნებთან ერთად. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაციით, გამოფენაში მონაწილეობის სურვილი 180 ქვეყანამ და 45 საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოთქვა. ჩინეთის მთავრობამ განვითარებადი ქვეყნებისათვის 100 მლნ. აშშ დოლარი გამოყო, რათა ხელი შეუწყოს მათ მონაწილეობას აღნიშნულ ღონისძიებაში.

გამოფენა "EXPO" მასშტაბური გამოფენაა, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ იმართება. გამოფენა 6 თვის განმავლობაში მიმდინარეობს და მასში პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყანა არის წარმოდგენილი. გამოფენაში მონა-წილეობა საშუალებას იძლევა წარმოჩინ-დეს: ქვეყნის კულტურა, ისტორიული მემკვიდრეობა, მეცნიერება, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და სხვა დარგები. "EXPO 2010"-ის საქართველოს კომისიონერად ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის უფროსი დამტკიცდა, რომელიც ამ გამოფენაში საქართველოს მონაწილეობის საორგანიზაციო საკითხებს უშუალოდ უხელმძღვანელებს და გამოფენის ორგანიზატორებთან მოლაპა-რაკებებს გამართავს. **მედიანიუსი**

### სიღნაღში ქუჩის ფესტივალები გაიმართება

სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის და თბილისის სერგო ზაქარიაზის სახელობის კოლეჯის ინიციატივით, ყოველ შაბათ-კვირას სიყვარულის ქალაქში ქუჩის ფესტვალები გაიმართება.

მოეწყობა ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა. დაგეგმილია კინო ჩვენებები, შაბათ-კვირას კი თეატრალიზებული მსვლელობები. ღონისძიებები სიღნაღში ოქტომბრის ბოლომდე გაგრძელდება. **მედიანიუსი**

### საკნებში მსახიობებმა თეატრალიზებული წარმოდგენა გამართეს

რუსთაველის თეატრის წინ დადგმულ საკნებში მსახიობებმა თეატრალიზებული წარმოდგენა გამართეს. ხელოვანებმა ქართველი პოეტების ლექსებიც წაიკითხეს.

როგორც ჟურნალისტებს აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა გოგა ხაინდრავამ განუცხადა, ხელოვანები მსგავსი ტიპის აქციებს თითქმის ყოველდღიურად გამართავენ. ამ დროისთვის რუსთაველის გამზირზე, პრეზიდენტისა და მთავრობის კანცელარიის, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმდებარეე ტერიტორიაზე სიმშვიდეა. კვლავ გადაკეტილია რუსთაველისა დ კოსტავას გამზირები. **ჯი-ეიჩ-ენი**

### გურანდა გაბუნია: არ შეიძლება ერთი და იმავე სპექტაკლის თამაში

მსახიობი გურანდა გაბუნია საზოგადოებას მოუწოდებს, არ დაიჭირონ პასიური პოზიცია, მივიდნენ მიტინგებზე და თავად მიიღონ მონაწილეობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში. როგორც "ქორთიარდ მარიოტში" გამართული შეხვედრის შემდეგ გაბუნიამ განაცხადა, შექმნილი მდგომარეობიდან ოპოზიცია საზოგადოებასთან ერთად ეძებს გამოსავლის გზებს.

"არასდროს ვაძლევ ვინმეს რჩევებს. არასდროს ვიღებ ჩემს თავზე იმას, რომ მე მეტი ვიცი, ვიდრე სხვამ. მე ვარ ჩვეულებრივი ადამიანი, თან მსახიობი. ძალიან საინტერესო საუბარი იყო. ოპოზიცია ბევრს ფიქრობს და გამოსავლის გზებს ეძებს. ყველა ცდილობს, რაღაც ახალი გააკეთოს. არ შეიძლება ერთი და იმავე სპექტაკლის თამაში გაუთავებლად. ძალიან ბევრი ზის შინ ფეხიფეხზეგადადებული და ელოდება, რა მოხდება. ასე არაფერი იქნება. უნდა მოხვიდე, დადგე შენს ხალხთან ერთად და თავად იყო მონაწილე ამ ყველაფრის", - განაცხადა გაბუნიამ. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ბიენალე ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე

თეა იაკობაშვილი

*ახალი პროექტი "აჭარის ბიენალე არტ-ლაბორატორია", რომლის პრეზენტაციაც 28 აპრილს გაიმართა, ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე კულტურული პროცესების გამოცოცხლებას ისახავს მიზნად. პროექტის იდეა ეკუთვნით მოქანდაკეებს ქეთევან გაგოშიძეს, პაატა გიგაურს და იურისტ მანანა სიმონიშვილს. ღონისძიების ორგანიზატორია ფონდი "აჭარის ბიენალე-არტ ლაბორატორია"; პროექტის მხარდამჭერია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. არტ-ბიენალე ორი დღე გაგრძელდება. მისი პროგრამა მოიცავს გამოფენებსა და ლექციებს.*



*ფრანჩესკო პოლი*



*ალფიო მონჯელი*

ყველაფერი ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალსოფელში დაიწყო. ბიენალეს ოფიციალური გახსნის ცერემონიალთან ერთად ახალგაზრდა აჭარელი მხატვარის ბექა ბოლქვაძის ნამუშევრები გამოიფინა. საგამოფენო სივრცეს წარმოადგენდა ყოფილი კულტურის სახლის ნაწილობრივ დანგრეული შენობა, რომლის კედლების ფაქტურა განსხვავებულ ელფერს აძლევდა ნამუშევრებს. ბექა ბოლქვაძე ექსპოზიციაზე წარმოდგენილი ნამუშევრების სერიას პირობითად ავტოპორტრეტს უწოდებს და დასძენს, რომ აქ სჩანს მისი სულის მდგომარეობა. "მსგავსი გამოფენა უკვე მქონდა მწვანე კონცხის ნანგრევებში. ამჟამად ის შენობა აღარ არსებობს. მე მგონი ბედის ირონიაა, რომ ჩემს ნახატებს ნანგრევები არ ასცდა," - ამბობს მხატვარი.

ბიენალეში მონაწილეობენ უცხოელი ხელოვანები და სპეციალისტები. მათ შორის არიან: რომის ნატიფი ხელოვნების უნივერსიტეტის რექტორი, მოქანდაკე ალფიო მონჯელი და მილანის ბრერას აკადემიის თანამედროვე ხელოვნების ლექტორი, ხელოვნებათმცოდნე ფრანჩესკო პოლი. საქართველოს წარმოადგენენ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი, მოქანდაკე გოგი ოჩიაური და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მარინე ფუთურიძე.

"ბიენალე, როგორც კულტურათა დიალოგის საუკეთესო ფორმა, შესანიშნავ პერსპექტივას იძლევა საქართველოს გეოკულტურული სივრცის მრავალმხრივი, მათ შორის სახვითი ხელოვნების კუთხით გააზრებისთვის. მასტერკლასები და ლექციები ხელს უწყობს უცხოელ კოლეგათა ყურადღების მოზიდვასა და კონკრეტული თემატიკის ირგვლივ პროფესიონალთა გაერთიანებას უკვე საკუთრივ ქართულ სივრცეში," - ამბობს ქალბატონი მარინე ფუთურიძე.

არტ-ბიენალეს მნიშვნელობას მაღალ შეფასებას აძლევს ფრანჩესკო პოლი. იგი ამბობს, რომ ბედნიერია საქართველოში - ფიროსმანის სამშობლოში ჩამოსვლით. "ბიენალე შემოქმედს იმის საშუალებას აძლევს, რომ იქ გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები, სადაც ცხოვრობს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ყველა შემოქმედი უფრო მეტად საინტერესოა იმ გარემოში, რომელშიც ქმნის," - დასძენს ფრანჩესკო პოლი, რომლის ნაშრომები ევროპაში ძალზე პოპულარულია, ხოლო პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ მის რეცენზიებს უდიდესი ყურადღებით ეპყრობიან.

რომის ნატიფი ხელოვნების უნივერსიტეტის რექტორი ალფიო მონჯელი ეთანხმება იმ აზრს, რომ თანამედროვე ხელოვნებას ესაჭიროება ერთგვარი აღორძინება. "ბოლო ათწლეულების განმავლობაში ბევრი ღირებულება დაიკარგა, მაგრამ არსებობს მარადიული ღირებულებები, რომელთაც სტიმული უნდა მისცენ ხელოვნების აღორძინებას," - ამბობს ალფიო მონჯელი.

აჭარის ბიენალეს პრეზენტაციის მეორე ნაწილი ბათუმის ხელოვნების მუზეუმში გაიმართა. აქ გამოიფინა მერაბ აბრამიშვილის ფერწერა და ნიკოლოზ ბერიანიძის ქანდაკება. ექსპოზიციამ შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე, ჩვენ გავესაუბრეთ მოქანდაკე ნიკოლოზ ბერიანიძეს: "ჩემს ქანდაკებებს იშვიათად ვუჩვენებდი ფართო საზოგადოებას. ამიტომ მხატვართა სამყაროში მიცნობენ, როგორც საეკლესიო ინვენტარზე ჭედურობის შემსრულებელს. ჩემი მინი ქანდაკებები კი, რომელიც ჩემი ნაწილია, სინათლეს ვერ ხედავდნენ. მიხარია, რომ ისეთი პროფესიონალები, როგორებიც არიან გოგი ოჩიაური და ალფიო მონჯელი მოდიან და საკუთარ აზრს მიზიარებენ. ეს დიდი სტიმულია მომავალი საქმიანობისთვის."

აჭარის ბიენალე გრძლდება, ამჟამად მისი მთავარი მოვლენები მასტერკლასები და ლექციებია.

# მაიკლ დუგლასი და შაია ლაბეფი უოლ-სთრითს დაიპყრობენ



ცნობილი ფილმის "უოლ-სთრითი"-ს (Wall Street) სიქველი კვლავ გადასაღებ მოედანზე დაბრუნდება. ახალი ფილმის რეჟისორი ოლივერ სტოუნი იქნება, ხოლო მთავარ როლს მაიკლ დუგლასი შეასრულებს. ორივე მათგანმა კინოკომპანია 20th Century Fox-ის შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტს უკვე მოაწერეს ხელი. დუგლასის გმირის ახალგაზრდა პარტნიორის როლში, "ტრანსფორმერების" და მეოთხე "ინდიანა ჯონსის" ვარსკვლავი შაია ლაბეფი მოიაზრება.

ფილმის სიუჟეტი გორდონ გეკოს გარშემო იტრიალებს, რომელიც ციხიდან გამოვა და აღმოაჩენს, რომ მსოფლიო ფინანსები ბევრად უფრო მოუწესრიგებელი გახდა, ვიდრე მაშინ, როცა უილ-სთრითი მას ეკუთვნოდა.

აღსანიშნავია, რომ ბად ფოქსის პერსონაჟი, პატივმოყვარე ბროკერი, რომელსაც სტოუნის ორიგინალ ფილმში ჩარლი შინი თამაშობდა, ახალ ფილმში საერთოდ არ გამოჩნდება. რაც შეეხება გეკოს როლს, მან მაიკლ დუგლასს ამერიკული კინოაკადემიის ოქროს ქანდაკება მიაღებინა.

2009 წლის ზაფხულში მაყურებლებს ფილმ "ტრანსფორმერი"-ს ხილვის საშუალებაც ექნებათ. მსახიობის გეგმებში ფილმ Associate-ს გადაღებებში მონაწილეობის მიღებაც შედის, რომელსაც ჯონ გრიშემის რომანის მიხედვით გადაიღებენ.

აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ სტივენ სპილბერგმა მაიკლ დუგლასს ექსტრავაგანტული პიანისტისა და შოუმენის ლიბერეისის (Liberace) როლი შესთავაზა, რომელიც 1987 წელს შიდსის შედეგად გარდაიცვალა. Variety- ს ინფორმაციით, "ტრაფიკის", "ოუშენის მეგობრები"-ს და "ჩე გევარა"-ს რეჟისორმა ლიბერეისის შესახებ ბიოგრაფიული ფილმის მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაიწყო. ცნობილია ფილმის სცენარისტისა და პროდიუსერის ვინაობაც: რიჩარდ ლაგრავანეზე (P.S. "მე შენ მიყვარხარ") და ჯერი ვაინტრაუბი (ტრილოგია "ოუშენის მეგობრები"). გამომცემლობა ასევე იუწყება, რომ სოდერბერგი მოლაპარაკებებს აწარმოებს მეტ დეიმონთანაც, რომელსაც სკოტ ტორსონის, როლი უნდა რომ შესთავაზოს. სკოტ ტორსონი იყო ადამიანი, რომელიც ლიბერეისს სასამართლოს ძალით 113 მილიონს ედავებოდა. როგორც მაიკლ დუგლასი, ისე მეტ დეიმონს სოდერბერგთან ერთად ადრე უკვე უმუშავია ფილმ "ინფორმატორი"-ს გადაღებებში. ეს უკანასკნელი ფილმი ტელეეკრანებზე წელს გამოვა.

# ქართველებმა ფესტივალს ფესტივალი მოუწყვეს

## 15 წლამდელ მორაგბეთა ნაკრები დაუმარცხებელი დაბრუნდა




გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*კაფე "დისქავერში" 15 წლამდელთა წარმატებულ ვოიაჟზე გვიამბეს*

*"შევარდენის" გადაჯეგილ მოედანზე ერთთვიანი ვარჯიშის შემდეგ საფრანგეთის რაგბის მინდვრების ხილვამ მუხლებგადატყავებული ბიჭები სახტად დატოვა. მერე უთქვამთ, წარმოგიდგენიათ, აქ რას ვითამაშებთო?! ითამაშეს კიდეც. თან ისე, რომ მეტოქეები მათთან შეხვედრას თავს არიდებდნენ. ქართველებთან თამაშზე მარტო ახალზელანდიელებს არ დაუხევიათ უკან. თუმცა ბორჯღალოსნებს რამდენჯერმე ისე შეუბოჭავთ, სამჯერ მეტოქე საკაცით გასაყვანი გამხდარა. რაც მთავარია, საქართველოს 15 წლამდელთა ნაკრები ვიენისა და კორსიკის ტურნირებიდან გამარჯვებული დაბრუნდა. გუშინ კაფე "დისქავერში" შეკრებილთ ფრანგულ მინდვრებზე ქართველთა ტრიუმფალურ მსვლელობაზე მოგვითხრობდნენ გუნდის მწვრთნელები ზვიად ცუხიშვილი, ლევან ობოლაძე და დელეგაციის ხელმძღვანელი ილია მაისურაძე.*

გიგა გურასაშვილი

საფრანგეთის რაგბის ფედერაციის მიწვევით საქართველოს 15 წლამდელთა ნაკრებმა ორ ისეთ ტურნირში ითამაშა, რომელიც რაგბის სამყაროში მცირე მსოფლიო ჩემპიონატად ითვლება.

15 წლამდელთა გუნდმა, რომელიც 28 მორაგბით იყო დაკომპლექტებული, პირველად ლიონის მახლობლად, ვიენის ტურნირზე იასპარეზა (11-12 აპრილი). არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატად მონათლულ ტურნირში მონაწილეობენ იმ ქვეყნების გუნდები და რეგიონული ნაკრებები, რომლებიც შემდგომში ერთგვარი ბაზაა ძირითადი ნაკრებებისთვის. ამაზე მიუთითებს ტურნირის ოფიციალური სახელწოდებაც - "A l Ouverture - le Mondial de Rugby", რაც შეიძლება ასე ვთარგმნოთ: მსოფლიო ჩემპიონატის შესავალი, მსოფლიო ჩემპიონატისკენ მიმავალი პირველი ნაბიჯი.

ტურნირი ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. წლევანდელი რიგით მესამე ყოფილა.

ქვეჯგუფში ყველა მატჩის მოგების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა მეოთხედფინალში ბელგიის ნაკრები დაამარცხა. ნახევარფინალში საქართველოს ნაკრებს ახალი ზელანდიის, კონკრეტულად კი ოკლენდის რეგიონის ნაკრებთან მოუხდა ურთიერთობის გარკვევა, რასაც ქართველი მორაგბეები განსაკუთრებული სიამაყით იხსენებენ: "არ ვიცოდით, თუ ჩვენს ოცნებას, ოდესმე გვეთამაშა ზელანდიელთა წინააღმდეგ, ასე მალე შეესხმებოდა ფრთები".

ქართველებმა ახალი ზელანდიის ერთ-ერთ გამორჩეულ სარაგბო რეგიონის ნაკრებს მშრალი ანგარიშით - 12:0 მოუგეს. სამხრეთელთა ძლევის შემდეგ ფინალში მასპინძლების დამარცხების ჯერიც დადგა - არც აქ გასჭირვებიათ (14:0).

ვიენის ტურნირზე 36 გუნდი მონაწილეობდა. 15 წლამდელთა პარალელურად თამაშობდნენ 17 წლამდელებიც. ამ ასაკობრივ ჯგუფში 2011 წლის ტურნირისთვის მასპინძლებმა საქართველოს ნაკრები ახლავე მიიწვიეს.

ვიენის ტურნირის მოგების შემდეგ საქართველოს ნაკრები კორსიკაზე გაემგზავრა, ზღვისპირა კურორტ კალვიში დაბანაკდა, ხუთდღიანი დასვენების შემდეგ კი ლუჩანასა და ბასტიას სარაგბო მსოფლიო ფესტივალში (18-19 აპრილი) ჩაერთო.

ფესტივალზე, რომელშიც 22 გუნდი გამოდიოდა, საქართველოს ნაკრებმა კორსიკაზე ჩატარებული 11 მატჩიდან ათში წარმატებას მიაღწია. ბოლოს კი ახალზელანდიურ "ქრაისტჩერჩთან" ფრედ ითამაშა.

საქართველოს 15 წლამდელთა ნაკრებისთვის ფრანგული ვოიაჟი წარმატებული გამოდგა. ორივე ტურნირზე 18 მატჩიდან 17-ში გაიმარჯვეს, ერთი კი ფრედ დაასრულეს (18 მატჩში მხოლოდ ერთი ლელო მიიღეს).

### ვიენის ტურნირი:

| | |
|---|---|
| საქართველო-Metrorex (რუმინეთი) | 10:5 |
| საქართველო-Mogliano Veneto (იტალია) | 38:0 |
| საქართველო-RVR1 (საფრანგეთი) | 12:0 |
| საქართველო-კორსიკის ნაკრები | 5:0 |
| საქართველო-Ottignies (ბელგია) | 19:0 |
| საქართველო-Aucland (ა. ზელანდია) | 12:0 |
| საქართველო-RVR1 (საფრანგეთი) | 14:0 |

### კორსიკის ფესტივალი:

| | |
|---|---|
| საქართველო-RVR1 (საფრანგეთი) | 15:0 |
| საქართველო-Aucland (ა. ზელანდია) | 10:0 |
| საქართველო-Crabes XV (კორსიკა) | 38:0 |
| საქართველო-Bastia (კორსიკა) | 7:0 |
| საქართველო-Barbarians | 19:0 |
| საქართველო-Sarde (სარდინია, იტალია) | 14:0 |
| საქართველო-ASPV (კორსიკა) | 24:0 |
| საქართველო-RCA (აიაჩო, კორსიკა) | 19:0 |
| საქართველო-RCL (ლუჩიანა, კორსიკა) | 7:0 |
| საქართველო-Cote d'Or (კორსიკა) | 31:0 |
| საქართველო-Christcurch (ა. ზელანდია) | 0:0 |

### "კობიმ" მორიგი სამი ქულა დაგეგმა

ბუნდესლიგის გათამაშების გასულ ტურში ლევან კობიაშვილისა და ლევან ყენიას "შალკემ" მიუნხენში "ბაიერნი" დაამარცხა, რასაც იურგენ კლინსმანი შეეწირა. მომდევნო ტურში გელზენკირხენელები ლევერკუზენის "ბაიერს" უპირისპირდებიან და, ცხადია, სამი ქულის აღებას გეგმავენ. მით უმეტეს, რომ "ასპირინელებს" კარგი პერიოდი არ უდგათ. გასულ ტურში ამ გუნდმა მაჩანჩალა "კარლსრუესთან" საკუთარ მოედანზე დათმო შეხვედრა.

"შალკეს" ოფიციალური ვებგვერდის ჟურნალისტს მომავალ დაპირისპირებაზე ლევან კობიაშვილი ესაუბრა. "დიახ, ბოლო ხანს კარგად ვთამაშობთ და ზედიზედ რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ. მართალია, "ლევერკუზენს" აშკარა ჩავარდნა აქვს, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ მატჩის დაწყებამდე და მსაჯის საფინალო სასტვენამდე 3 ქულა გარანტირებული გვაქვს. თუმცა, გულშემატკივრებს იმედი უნდა ჰქონდეთ, რომ მაქსიმუმს გავაკეთებთ, რათა ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოვიპოვოთ. ბუნებრივია, კარგი იქნება, თუ, წინა მატჩების მსგავსად, საკუთარ კარში გოლს არ გავუშვებთ. ეს ადვილი არ იქნება, რადგან "ლევერკუზენს" ძლიერი თავდასხმა ჰყავს," - აღნიშნა კობიაშვილმა და იქვე დასძინა, - არა მგონია, რომ "ლევერკუზენმა" სეზონი ნაადრევად დაასრულა. მართალია, გუნდისთვის ბრემენის "ვერდერის" წინააღმდეგ გასამართი გერმანიის თასის ფინალი სეზონის უმნიშვნელოვანესი მატჩია, რადგან ევროთასების საგზური მხოლოდ ამ გზით შეიძლება მოიპოვოს, მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენს წინააღმდეგ ლევერკუზენელები ნახევარი ძალით არ ითამაშებენ. მით უმეტეს, რომ მათ სათამაშო ფორმის შენარჩუნება სჭირდებათ. ჩემი აზრით, "ლევერკუზენი" ბუნდესლიგის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდია".

"შალკეს" ქართველმა მცველმა იმ მიზეზებზეც ისაუბრა, რამაც ბუნდესლიგის გათამაშების მეორე წრეში "შალკეს" დამაჯერებელი თამაში გამოიწვია. "კობის" აზრით, ამაში ლომის წილი მიუძღვის გუნდის გულშეკმატკივარს. "ახლა კარგ სათამაშო ფორმაში ვართ, რასაც ბევრი მიზეზი აქვს. გუნდის ბოლოდროინდელ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით გელზენკირხენელ გულშემატკივრებს, რომლებიც ჩვენს საშინაო ტრიბუნებს ავსებენ და მხურვალედ გვქომაგობენ. ბუნებრივია, ეს საუცხოო განწყობას გვიქმნის და გუნდის შრომისუნარიანობას ერთიორად ამაღლებს".

### ქეცბაიას ნაცვლად - ლინენი

ამ ცოტა ხნის წინ კვიპროსის "ანორთოსისის" მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა თემურ ქეცბაიამ. ფამაგუსტური კლუბის მესვეურებმა მისი შემცვლელი იპოვეს - გუნდი 55 წლის გერმანელ ევალდ ლინენს ჩააბარეს.

### მარკესისთვის სეზონი დასრულდა

"ბარსელონასა" და "ჩელსის" მატჩის მეორე ტაიმში, მინდვრის ცენტრში, სრულიად უწყინარ ვითარებაში, ტრავმა მიიღო კატალონიური კლუბის ერთ-ერთმა ლიდერმა, მექსიკელმა მცველმა რაფა მარკესმა. ის, რომ მარკესის ტრავმა სერიოზულია, მაშინვე გამოჩნდა. მატჩის შემდეგ კი ექიმებმა ფეხბურთელს დიაგნოზი დაუსვეს. მარკესს მარცხენა ფეხის მენისკი დაუზიანდა და სეზონის ბოლომდე ვეღარ ითამაშებს.

### მილანი-ლონდონი და პირიქით

იყო დროს, როდესაც ანდრეი შევჩენკო "მილანის" მთავარი ვარსკვლავი იყო, "სან სიროს" მკვიდრთათვის კი - ნომერ პირველი კერპი. თუმცა "შევამ" მეტი მოინდომა, გადაბარგდა ლონდონის "ჩელსიში" და მისი კარიერაც უკან წავიდა. "არისტოკრატიულ" კლუბში შევჩენკოს არაფერი გამოუვიდა და ამ სეზონის დასაწყისში ანდრეიმ "მილანში" დაბრუნება განიზრახა. "როსონერიმ" უკრაინელის ტრანსფერის გამოსყიდვა არ ისურვა და ფეხბურთელთან სეზონის ბოლომდე მხოლოდ საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა. შევჩენკომ "მილანში" დაბრუნების შემდეგ ძველი კონდიციები ვერ აღიდგინა და ერთ დროს სუპერვარსკვლავი რიგით ფეხბურთელად იქცა. "შევა" "მილანის" შემადგენლობაში ვერ ხვდება, მინდორზე იშვიათად გადის, რაც იმის მაუწყებელია, რომ "მილანი" უკრაინელთან საიჯარო ხელშეკრულებას არ გააგრძელებს. შევჩენკოს მოუწევს "ჩელსიში" დაბრუნება, სადაც ის, როგორც ჩანს, არავის სჭირდება.

## ბენიტესს 20 მილიონი არ ჰყოფნის

მოახლოვდა საფეხბურთოთ სეზონის დასასრული და კლუბებმა სატრანსფერო პერიოდზე დაიწყეს ფიქრი. მართალია, "ლივერპულს" ჯერ კიდევ ამ სეზონში აქვს ბევრი საქმე (ბენიტესის გუნდი ინგლისის ჩემპიონობისთვის იბრძვის), თუმცა თავად ესპანელი მწვრთნელი უკვე ემზადება სატრანსფერო ციებ-ცხელებისთვის.

"მე უკვე ვიცი, თუ რა ოდენობის თანხას გამოგვიყოფენ ხელმძღვანელები. 20 მილიონი მაღალი კლასის ფეხბურთელთა შესაძენად საკმარისი არ არის. ამიტომ ზოგიერთ ჩვენს მოთამაშესთან გამომშვიდობება მოგვიწევს, რათა დამატებითი თანხები გამოვნახოთ. უკვე დავიწყეთ ტრანსფერებზე მუშაობა. რამდენიმე ფეხბურთელთან მოლაპარაკებასაც ვმართავთ, თუმცა მათ ვინაობას ჯერჯერობით არ გავამჟღავნებ. მწვერვალზე ადგილის შესანარჩუნებლად აუცილებელია შემადგენლობის სისტემატურად გაძლიერება. ახლა საკმაოდ ძლიერი გუნდი გვყავს, მაგრამ ერთი-ორი უმაღლესი დონის ფეხბურთელის შეძენა არ გვაწყენდა. მე მაქსიმალისტი ვარ და მუდამ სრულყოფისკენ მივისწრაფი", - ამბობს ბენიტესი.

## "მილანს" მანდანდას შეძენა სურს

საფრანგეთის ნაკრებისა და "მარსელის" შავკანიანი მეკარე სტივ მანდანდა მომავალ სეზონში შესაძლოა "მილანის" ფეხბურთელი გახდეს.

ამჟამად 24 წლის მეკარე ჩინებულ ფორმაშია. მისი დიდი დამსახურებაა, რომ "მარსელი" საფრანგეთის ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტად ითვლება.

მანდანდას "მარსელთან" კონტრაქტის ვადა 2012 წელს ეწურება, მისი სავარაუდო ფასი კი 7 მილიონი გირვანქაა.

მილანელები ბრაზილიელი დიდასა და ხორვატი ჟელკო კალაჩის თამაშით უკმაყოფილონი არიან. მადრიდის "ატლეტიკოდან" იჯარით აყვანილ კრისტიან აბიატის კი მუხლის ჯვარედინი მყესები დაეჭიმა და მიმდინარე სეზონში ვეღარ ითამაშებს.

## ჰაინკესმა მიზანი დაისახა

მიუნხენის "ბაიერნის" ახალმა მწვრთნელმა იუპ ჰაინკესმა, რომელიც გერმანულ გრანდში სეზონის ბოლომდე იმუშავებს, მიზნები უკვე დაისახა. ჰაინკესის თქმით, "ბაიერნის" უმთავრესი ამოცანაა არა ჩემპიონობა, არამედ ბუნდესლიგაში, სულ მცირე, მეორე ადგილის დაკავება, რაც ჩემპიონთა ლიგაში პირდაპირ მოხვედრის საშუალებას იძლევა.

"ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგაში პირდაპირ მოხვედრა უნდა იყოს. ჯერჯერობით ჩემპიონობაზე არც კი უნდა ვიფიქროთ", - ამბობს ჰაინკესი.

## ცარიელი ტრიბუნების წინაშე

ტურინის "იუვენტუსი" სერია A-ს 34-ე ტურში "ლეჩესთან" მატჩს ცარიელი ტრიბუნების თანხლებით ჩაატარებს.

იტალიის საფეხბურთო ლიგამ ტურინელთა აპელაცია არ დააკმაყოფილა და ძალაში დატოვა გადაწყვეტილება, რომელიც 18 აპრილს "იუვენტუსსა" და "ინტერს" შორის 1:1 დასრულებულ მატჩში ადგილობრივი გულშემატკივრების გამოხდომების გამო მიიღო. განვლილ შეხვედრაში "იუვენტუსის" ფანებმა "ინტერის" შავკანიანი ფორვარდების მარიო ბალოტელისა და სალი მუნტარის მიმართ რასისტული გამონათქვამები გამოიყენეს.

## "მყვინთავებმა" ახალგაზრდა ეკვადორელი შეიძინეს

"ვილიარეალმა" ეკვადორის "ინდეპენდიენტე დელ ვალეს" 19 წლის ნახევარმცველ ჯეფერსონ მონტეროსთან კონტრაქტის პირობები შეათანხმა.

ფეხბურთელთან ხელშეკრულება 5 წელიწადზეა გათვლილი და ძალაში შევა მომავალი ზაფხულიდან, როდესაც ეკვადორელი თავის ახალ გუნდს შეუერთდება.

"მას შემდეგ, რაც "ვილიარეალმა" ჩემი ტრანსფერი დაამტკიცა, მასზე საუბარი შემიძლია. ამ გუნდში იმიტომ გადავდივარ, რომ მადრიდის "რეალთან" გამართულმა მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო. ესპანეთში თამაში ჩემს კარიერაში ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ადრე ვერც წარმოვიდგენდი, რომ ასეთ ახალგაზრდულ ასაკში ევროპაში ასპარეზობას დავიწყებდი. იმედი მაქვს, ადაპტაციას დროზე მოვახდენ და ისევე წარმატებულად ვითამაშებ, როგორც ამას სამშობლოში ვაკეთებ," - დასძინა მონტერომ ეკვადორულ მასმედიასთან საუბარში.

# ორი გამარჯვება „დუბლამდე„

## თასის ფინალი: "დინამო" VS "ოლიმპი"

მიხეილ აბაიშვილი



ჭუისის გოლმა "დინამო" ფინალში გაიყვანა

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

გუშინ გორსა და თბილისში საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასი - ყაზბეგის განმეორებითი ნახევარფინალური მატჩები გაიმართა. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ერთ დროს ყველაზე პრინციპულ დედაქალაქურ "დერბიში" "დინამომ" "ლოკომოტივს" უმასპინძლა და კინაღამ ფინიშს მიახლოებული სეზონის ყველაზე ხმაურიანი სენსაციის თანამონაწილე გახდა. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების პირველი მატჩი, რომელიც ორი კვირის წინ მიხეილ მესხის არენაზე ჩატარდა, "დინამოს" გამარჯვებით - 2:0 დასრულდა. მაშინ გამოვთქვი ვარაუდი, რომ საქართველოს ჩემპიონს ასეთი კომფორტული სხვაობით გამარჯვების შემდეგ ფინალში გასვლა არ გაუჭირდებოდა. სენსაცია არ გამოვიდა - "დინამო" ფინალშია, მაგრამ ამის მიღწევისას როგორც კახა კაჭარავას, ისე გულშემატკივრებს და გუნდს დიდი ნერვიულობა, ბევრი ენერგიისა და ფიზიკური ძალის დახარჯვა დასჭირდათ.

ამ მატჩში "დინამოს" სამი წამყვანი ფეხბურთელი დააკლდა. ჩემპიონატის ბოლო შეხვედრაში გუნდის სამმა ლიდერმა - გურამ კაშიამ, ხმალაძემ და მერებაშვილმა ყვითელი ბარათები მიიღეს, რის გამოც დისკვალიფიკაციის სასჯელი სწორედ განმეორებით ნახევარფინალში მიიღეს. "ლოკომოტივთან" გუშინდელ შეხვედრაში ამ ფეხბურთელების არყოფნა მწვავედ იგრძნობოდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ "დინამოს", როგორც ძირითადი შემადგენლობის, ისე სათადარიგოთა სკამის გასაძლიერებლად, მოახლოებული ევროთასის სეზონის წინ სატრანსფერო ბაზარზე დიდი აქტიურობა დასჭირდება. განსაკუთრებით იგრძნობოდა პრობლემები დაცვის ცენტრში - იმ პოზიციაზე, სადაც გურამ კაშია თამაშობს. ერთი შეხედვით, წინა ხაზში კაჭარავას გუნდზე დასამდური ბევრი არაფერი ჰქონდა - "დინამო" ზედიზედ ქმნიდა საგოლე ეპიზოდებს სტუმართა კართან, თუნცა, ასევე ზედიზედ, ხელსაყრელ მომენტებს ვერ იყენებდა. ამ სიტუაციებში თვალშისაცემი იყო მერებაშვილის - თავისი გუნდის საუკეთესო მეგოლის არყოფნა. შედარებით ნაკლებად დაეტყო გუნდს ხმალაძის არყოფნა - ტაიმნახევრის განმავლობაში შუა ხაზში მასპინძლებმა აშკარად დაჯაბნეს მეტოქე, რისი წყალობითაც თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ინიციატივა "დინამოს" ეპყრა ხელთ. მხოლოდ ბოლო 10-15 წუთში, როცა "ლოკომოტივის" ფეხბურთელებს სასწაულის მოხდენის იმედი და შანსი გაუჩნდათ, თამაშმა, ცოტა არ იყოს, ნერვული და ქაოსური ხასიათი შეიძინა. მიუხედავად იმისა, რომ საფინალო შტურმის დროს "ლოკომოტივს" რაიმე ღირებული, საგოლე მომენტთან მიახლოებული ეპიზოდი არ შეუქმნია, ბრმა შემთხვევითობას (ასეთი რამ კი ფეხბურთში არცთუ იშვიათად ხდება) შეიძლებოდა ფატალური გავლენა მოეხდინა მატჩის შედეგსა და წყვილიდან ფინალში გასულის გამოვლენაზე.

სტუმრების პირველივე გააზრებული შეტევა "დინამოს" კარის აღებით დასრულდა. ეს 22-ე წუთზე მოხდა: კახელიშვილი მარჯვენა ფლანგიდან გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე, მახვილი კუთხიდან ძლიერად დაარტყა, მაგრამ ჯერ ოვონომ, შემდეგ კი ძელმა ბურთი მოიგერიეს, დამატებაზე კი ეგრეთ წოდებული "მაკრატელათი" კვანტალიანმა ანგარიში გახსნა.

გოლმა "დინამო" გამოაფხიზლა და მასპინძლებმა ზედიზედ რამდენიმე სახიფათო იერიში მიიტანეს. გოლის გატანა ორჯერ შეეძლო დონალდ ჯუისს, ხელსაყრელი პოზიციიდან ბურთი კარს ააცილა ტომიჩმა, კოშკაძის დარტყმა კი ხარიხამ მოიგერია. "დინამოს" ეს მიზანმიმართული ზეწოლა ტაიმის მიწურულს შედეგიანი კომბინაცია-დარტყმით დასრულდა: დიღმელაშვილის გამჭოლი გადაცემის წყალობით ჯუისი პირისპირ აღმოჩნდა ლომაიასთან. "დინამოს" ლეგიონერმა ეს შანსი ხელიდან არ გაუშვა.

მატჩის მეორე ნახევარი ისევ მასპინძლების სახიფათო იერიშით დაიწყო. კარის აღების კიდევ ერთი რეალური შანსი კოშკაძემ ხელიდან გაუშვა. ვითარება დაიძაბა 53-ე წუთზე, როცა სტუმრების კონტრშეტევა საჯარიმოში ჩაწოდებით და გუშარაშვილის შედეგიანი თავური დარტყმით დასრულდა. ანგარიში 2:1 გახდა "ლოკოს" სასარგებლოდ, რაც იმას ნიშნავდა, რომ თუ გიორგი კიკნაძის გუნდი თავს ზემოთ ახტებოდა და კიდევ ერთ გოლს გაიტანდა, ფინალის საგზურსაც მოიპოვებდა. ამ წუთებში იძულებითი შეცვლის განხორციელება მოუხდა კაჭარავას: მეკარე ოვონომ მცირე ტრავმა მიიღო და მის ნაცვლად მოედანზე შევიდა ლორია, რაც, ერთი შეხედვით, კიდევ უფრო ზრდიდა სტუმრების შანსს. კრიტიკული მომენტი დადგა 88-ე წუთზე, როცა ზედ საჯარიმოს ხაზზე წესის დარღვევისთვის კვარაცხელიამ "დინამოს" კარის მიმართულებით სახიფათო საჯარიმო დანიშნა. "დინამო" ფორტუნამ არ გაწირა: ძლიერი დარტყმის შემდეგ ბურთი "ცოცხალმა კედელმა" აისხლიტა. საბოლოოდ "დინამო" 1:2 დამარცხდა, მაგრამ მინიმალურსხვაობიანი მარცხი ფინალში გასასვლელად საკმარისი აღმოჩნდა.

"ვიტ ჯორჯიამ" კი არც საპასუხო განმეორებით მატჩში უღალატა პრინციპს. პირველი ნახევარფინალი, რომელიც რუსთავში "ოლიმპსა" და "ვიტ ჯორჯიას" შორის გაიმართა, მასპინძლების გამარჯვებით - 4:2 დასრულდა. ამ შეხვედრაში ნესტორ მუმლაძემ თავისი გუნდის წამყვანი ფეხბურთელების უმეტესობა დაასვენა და სათადარიგოებს მისცა შანსი. "ვიტ ჯორჯიას" შტაბს არც დაუმალავს, რომ ამ სეზონში მათი მთავარი სამიზნე ჩემპიონობაა. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა გუშინდელ მატჩშიც, როცა "ოლიმპს" კვლავაც ვეტერინართა დუბლშემადგენლობასთან მოუხდა თამაში. ამის მიუხედავად, "ვიტ ჯორჯიამ" დამაჯერებლად იასპარეზა და რამდენიმე კარგი შანსიც ჰქონდა, თუმცა, "ოლიმპმა" თავისი კარის უსაფრთხოება და პირველ მატჩში მოპოვებული ჰანდიკაპი შეინარჩუნა. საბოლოოდ შეხვედრა ფრედ - 0:0 დასრულდა, რაც იმას ნიშნავს, რომ 30 მაისს ბორის პაიჭაძის არენაზე დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასი - ყაზბეგის ფინალში "დინამო" და "ოლიმპი" შეხვდებიან ერთმანეთს. ეს კი ნიშნავს, რომ საპატიო "დუბლის" შესრულებამდე (ერთ სეზონში თასისა და ჩემპიონატის მოგებამდე) "დინამოს" ორი გამარჯვება აშორებს. ამისთვის კაჭარავას გუნდმა 10 მაისს "ვიტ ჯორჯია" უნდა დაამარცხოს, 30 მაისს კი თასის ფინალი მოიგოს.

# კუპერი "ინტერის" ჩემპიონობაში დარწმუნებულია

